პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი
8
სექტემბერი
1937 წ.
№ 205 (5006)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

- დაუღალავად განვუმარტოთ მასებს ახალი საარჩევნო კანონი (მოწინავე).
- ახალგაზრდობის, მხნეობისა და სიხარულის პარადი.
- სსრ კავშირის მთავრობის პროტესტის ნოტა იტალიის მთავრობას.
- პასუხი მოეთხოვოთ აღვირახსნილ ფაშისტ-პირატებს („პრავდის“ მოწინავე).
- საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში.
- პრ. რატიანი — ღრმად შევისწავლოთ სტალინური საარჩევნო კანონი (ფელეტონი).

უცხოეთში:

- საომარი მოქმედება ჩინეთში.
- დე ვანის ჯარები ჩინეთის მთავრობის მხარეზე გადავიდნენ.
- ესპანეთის ფრონტებზე.
- ნედლეულის რესურსთა პრობლემის შემსწავლელ კომიტეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუღალავად განვუმარტოთ მასებს ახალი საარჩევნო კანონი

ახლოვდება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები. ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი მშრომელნი უახლოეს მომავალში შეუდგებიან სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — დიადი საბჭოთა პარლამენტის დეპუტატთა არჩევნებს.

„კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები ახალი საარჩევნო კანონის მიხედვით, სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, — არის ახალი ნიშანსვეტი სსრ კავშირის ხალხთა ისტორიულ განვითარებაში და საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიაში“ (მ. კალინინი).

საბჭოთა კავშირის ახალი საარჩევნო კანონი მთლიანად და სავსებით შეესაბამება სტალინურ კონსტიტუციას, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტად ყველაზე უფრო დემოკრატიულ კონსტიტუციას მთელ მსოფლიოში.

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება“, რომელიც სსრ კავშირის მე-7 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიამ დაამტკიცა, ყველა თავისი მუხლით სავსებით უზრუნველჰყოფს დიადი სტალინური კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარებას.

ახლა, როდესაც გვაქვს სტალინური კონსტიტუცია და სტალინური საარჩევნო კანონი, მთელი საქმე დამოკიდებულია მოსამზადებელი მუშაობის წარმატებით ჩატარებასა და თვით არჩევნების სწორ ორგანიზაციაზე.

ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის მიერ ახალი საარჩევნო კანონისა და თავის უფლება-მოვალეობათა ცოდნას. ჩვენი უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ახალი საარჩევნო კანონის შინაარსი დავიყვანოთ საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქის, მუშის, გლეხის, მოსამსახურისა და ინტელიგენტის შეგნებამდე.

პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკებისათვის არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე ახალი საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტება მშრომელთა უფართოესი მასებისათვის.

„ჩვენი სააგიტაციო მუშაობის უახლოესი ამოცანაა განვუმარტოთ გამოუკლებლივ მთელ მოსახლეობას უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება“ („პრავდა“). ამ მიზნისათვის უნდა გამოვიყენოთ აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალება: პრესა, რადიო, კლუბი, სამკითხველო, წითელი კუთხე და სხვ.

საქართველოს პარტორგანიზაციათა უმრავლესობამ და ბევრმა სოფლსაბჭომ სწორად გაიგო თავისი ამოცანა და ენერგიული მუშაობა გაშალა სტალინური კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ შესასწავლად. თვითეული მშრომელისათვის ამ ისტორიულ დოკუმენტთა შინაარსის საფუძვლიანად გასაცნობად შექმნილია ათასობით წრეები ფაბრიკა-ქარხნებში, ქალაქისა და სოფლის საბჭოებთან, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში; ათიათასობით მშრომელნი სწავლობენ ამ წრეებში თავიანთ უფლება-მოვალეობას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ დიადი სტალინური კონსტიტუციით.

მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა როდი მოიპოვება ისეთი პირველადი პარტორგანიზაციები და საბჭოები, რომლებმაც სათანადოდ ვერ შეაფასეს ახალი საარჩევნო კანონის მშრომელთა ფართო მასებისათვის განმარტების უდიდესი მნიშვნელობა. ეს უმნიშვნელოვანესი საქმე თვითდინებაზე დასტოვეს და მიეცნენ იდიოტურ ავადმყოფობას — უდარდელობას.

მასალები, რომლებიც „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში ქვეყნდება, მოწმობენ, რომ ახალი საარჩევნო კანონისა და სტალინური კონსტიტუციის შესწავლის საქმეში ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული მშრომელთა ყველა ფენა. ეს შეეხება განსაკუთრებით არაორგანიზებულ მოსახლეობას. მაგალითად, ის ფაქტი, რომ კიროვის რაიონში (თბილისი) არაორგანიზებული მოსახლეობისათვის (დიასახლისები, შინამოსამსახურენი, მეეზოვეები და სხვ.) მხოლოდ ერთი წრე არსებობს, მეტყველებს კიროვის რაიონის ხელმძღვანელთა გასაოცარ უდარდელობას არაორგანიზებულ მოსახლეობაში საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტებისადმი.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, როგორიცაა: ტყიბული, ჩხარი, ლანჩხუთი, კასპი, გორი, ჩოხატაური, ბორჯომი და სხვ., — უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ლანჩხუთისა და ჩხარის რაიაღმასკომებმა საჭიროდ არ ჩასთვალეს თავიანთ პრეზიდიუმებსა და პლენუმებზე დაემუშავებინათ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება და დაესახათ ღონისძიებანი მისი შინაარსის თვითეული მშრომელისათვის გასაცნობად. სამწუხაროდ, ლანჩხუთისა და ჩხარის მაგალითი გამონაკლისს არ წარმოადგენს.

ბევრგან დებულების შემსწავლელი წრეების ნორმალურ მუშაობას საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან, რის შედეგადაც დაბალია განვლილი მასალის შეთვისების ხარისხი, მცირეა მეცადინეობაზე დასწრების პროცენტი, ხშირია მეცადინეობის ჩაშლა.

დებულების შესწავლა დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს ისეთ წამყვან საწარმოშიც კი, როგორიცაა თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, მუშა-მოსამსახურეთა შორის დებულების შემსწავლელი სპეციალური წრეები არ არსებობს, ხოლო პროფკოლებში ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. დამახასიათებელია, რომ ქარხანაში მოიპოვება ადგილობრივი რადიოკვანძი, მაგრამ არავის არ მოჰგონებია გამოეყენებინა იგი საგიტაციოდ — თუნდაც სასაუზმო შესვენების დროს. ქარხნის საამქროთა კედლის გაზეთების დიდი უმრავლესობა არც კი იხსენიებს ახალ საარჩევნო კანონს. ქარხნის მუშათა ოჯახის წევრებში, რომლებიც ქარხნის საერთო ბინებში ცხოვრობენ, არავითარი მუშაობა არ სწარმოებს დებულების ახსნა-განმარტებისათვის.

ჩამოთვლილი ფაქტები მოწმობენ, რომ ბევრ ხელმძღვანელ მუშაკს ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული მომავალი არჩევნებისათვის მზადების უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა.

საჭიროა დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო მავნე უზრუნველობას ამ უმნიშვნელოვანესი და უაღრესად პასუხსაგები საქმის მიმართ. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ხალხის საზიზღარი მტრები, გერმანია-იაპონიის ფაშიზმის აგენტები არავითარ სისაძაგლეს არ მოერიდებიან იმისათვის, რომ გაძვრნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, რათა აწარმოონ იქ თავიანთი შავბნელი საქმეები. მაგრამ „...თუ ჩვენი საგიტაციო მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უზენაეს ორგანოებში მტრულ ადამიანებს არ შეუშვებს. მაშასადამე, კი არ უნდა ვიწუწუნოთ, არამედ უნდა ვიმუშაოთ, უნდა ვიმუშაოთ და არა დაველოდოთ იმას, რომ ყველაფერი მზამზარეულად მოგვეცემა ადმინისტრატიულ განკარგულებათა წესით“ (სტალინი).

ხალხთა დიდი ბელადის ეს მითითება განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ 5 სექტემბრის ცნობებით

რაიონები	დამზადებულია სეზონის დაწყებიდან ტონობით	სექტემბერში დამზადდა ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	სექტემბრის გეგმის შესრულება პროც.
ბათუმი	940,2	23,7	90,8	21,9
ქობულეთი	4.449	163,1	84,4	17,9
სულ აჭარის ასსრ	5.389.2	186,8	85,4	18,3
გალი	1.296,9	29,8	87,6	15,1
ოჩემჩირე	646,4	14,8	85,5	12,5
სულ აფხაზეთის ასსრ	1.943,3	43,6	86,9	14.1
მახარაძე	5.847,9	170,4	86,2	17,9
ჩოხატაური	640,8	15,8	89	18
ლანჩხუთი	2.210,7	60,1	89,9	21.1
სამტრედია	112,4	4,5	93,7	28,1
წულუკიძე	329,7	16,5	97,8	42,7
ქუთაისი	47,1	2,8	117,8	56
ტყიბული	196,2	4,7	109	23,5
ცხაკაია	548,9	14	93	21,5
გეგეჭკორი	1.043,4	29,4	88,6	19,7
ზუგდიდი	2.184,2	66,7	87,1	18,7
წალენჯიხა	685,7	16,4	77,7	8,1
ჩხოროწყუ	582,6	5,6	94,3	9,2
ხობი	157,5	5,4	92,6	28,4
სულ	21.867,7	642,6	87,2	17,9
1936 წლის 5 სექტემბერს იყო	15.888,5	816	79,8	[illegible]

ამხანაგი ლ. ბერია ტრიბუნაზე პიონერებსა და კომკავშირელებს შორის

ფოტო გ. ლინგისა.

ახალგაზრდობის, მხნეობისა და სიხარულის პარადი

ჯერ კიდევ წინადღის საღამოს ქალაქმა სადღესასწაულო სახე მიიღო. მზიანი საქართველოს დედაქალაქის შენობები მორთულია ათასობით ლამპიონებით, ბელადთა მრავალი პორტრეტით, ლოზუნგებით, პლაკატებით.

6 სექტემბერს დილიდანვე დაეუფლა ქალაქს ბედნიერი ახალგაზრდობა. თბილისის ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან და სკოლებიდან, მრავალრიცხოვანი დაწესებულებებიდან ქუჩაში გამოვიდა 50 ათასზე მეტი ვაჟი და ქალიშვილი, რათა იდღესასწაულონ ახალგაზრდობის XXIII საერთაშორისო დღე.

ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანი გამოცოცხლებულია. ქალაქის ხუთი რაიონის 150 საუკეთესო ფრიადოსან მოსწავლეს უკავია ადგილები ტრიბუნასთან. მოედნის ირგვლივ სტუმრები არიან.

11 საათია... ტრიბუნაზე გამოჩნდება საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელი ამხ. ლ. ბერია, პარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ამხ. გ. არუთინოვი და ვ. გოგეშვილი, ამხ. ბედია, შარია, ხოშტარია, დეკანოზოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მირცხულავა, გუდავაძე, პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები და სხვ.

მოედნის მეზობლად მდებარე ქუჩებიდან მოისმის 50 დაფდაფის ხმა, რომელიც დღესასწაულის დაწყებას იუწყება. დაიწყო დემონსტრაცია. მტკიცე საზეიმო მარშით გაიარეს მოედანზე პიონერ - მოსწავლეთა მწკრივებმა. მათ მაღლა აწეული მიაქვთ უზარმაზარი წითელი ტილოები ლოზუნგებით, რომლებშიც გამოხატულია სიყვარული და ერთგულება პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

„ისე ვისწავლით, რომ ამხანაგმა სტალინმა სთქვას: „ჩინებულია, ბავშვებო!“

„გაუმარჯოს საყვარელ ბელადს, მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!“

„გაუმარჯოს მოწაფეთა საუკეთესო მეგობარს ამხ. ბერიას!“ გაისმის ტრიბუნიდან შეძახილები, რომლებიც საერთო „ვაშასა“ და „ურაში“ იძირება.

ზღვა ყვავილებმა, დროშებმა, ბელადთა პორტრეტებმა დაჰფარეს მოედანი. გაისმის მძლავრი სიმღერა სამშობლოზე. ნაციონალური ტანისამოსით გამოწყობილი მოცეკვავენი ასრულებენ ხორუმსა და ლეკურს.

ოცმეტრიანი წითელი დროშით, რომელზედაც არის წარწერა „მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი სასიხარულო ცხოვრებისათვის“, მწყობრი რიგებით და მტკიცე ნაბიჯით გაიარეს საკავშირო ფიზკულტურული პარადის მონაწილეებმა, რომლებიც გამოწყობილი არიან ნაციონალურ - ფიზკულტურული კოსტუმებით.

მოდიან სასპორტო საზოგადოებათა კოლონები, საქართველოს განსახკომის სასპორტო სკოლების ნორჩი ფიზკულტურელები, ჩოგბურთელები, ველოსიპედისტები, ფეხბურთელები...

მოდიან მფრინავები, მეზღვაურები, პარაშუტისტები, პლანერისტები. მათ მოჰყვებიან ჰაერსაწინაღო-ქიმიური თავდაცვის რაზმები, შეიარაღებული ახალგაზრდობის მარჯვე მსროლელთა რაზმები.

მცირე ინტერვალის შემდეგ მოედანზე მოვიდა ახალი მოკისკასე ნაკადი. მოდის შესანიშნავი ახალგაზრდობა — თბილისის საწარმოთა სტახანოველები, დამკვრელები, ახალგაზრდა ინჟინრები, სტუდენტები.

აღფრთოვანებული ოვაციით ხვდებიან სტალინის რაიონის მოწინავე კოლონის გამოჩენას მოედანზე. ასობით წითელ დროშებში გამოირჩევა მაღლა აზიდული უზარმაზარი ფიგურა, რომლითაც გამოსახულია ხალხთა საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი.

მხურვალე სალამს უგზავნიან დემონსტრანტები მამაც სტალინელ შევარდნებს, არქტიკის დამპყრობლებს, ესპანეთის გმირ ახალგაზრდობას.

ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის, ფართო ანტიფაშისტური ფრონტის შექმნის ლოზუნგებით მიდიოდა საბჭოთა ახალგაზრდობა. თავისი რევოლუციური დღესასწაული ახალგაზრდობამ ჩაატარა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ნიშნით და გვიჩვენა თავისი მზადყოფნა გააცამტვეროს ხალხის მტრების ყოველგვარი გამოსვლა. ლოზუნგებით, პლაკატებით გამოხატული იყო გულისწყრომა და სიძულვილი ფაშიზმის ტროცკისტულ - ბუხარინული აგენტურისადმი, ურყევი ნებისყოფა — ამხილონ და მოსპონ იაპონია-გერმანიის ჯაშუშები და დივერსანტები. სამარცხვინო ბოძზე აკრავს ახალგაზრდობა საზიზღარ აგენტებს ტროცკისტულ - ფაშისტური ბანდიდან, რომელთაც დაჰკარგეს ადამიანის სახე და ცდილობდნენ ჩვენი ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრების ხელყოფას.

„გავაძლიეროთ რევოლუციური შეტევითი სიფხიზლე“.

ტრიბუნასთან გაივლის კოლონა, რომელსაც მიაქვს მუყაოსაგან გაკეთებული უზარმაზარი მუშტი, რომელიც თითებით სჭყლეტს ტროცკისტულ - ფაშისტურ ქვეწარმავალს, — ეს არის მებრძოლი ორგანოს — შინსახკომის სიფხიზლის, ძლიერებისა და ძალის გამოხატულება.

ათობით მხატვრულად დეკორირებული ავტომანქანები ასახავენ სტახანოვური მოძრაობის უმაგალითო ზრდას, საბჭოთა ახალგაზრდობის უდიდეს პოლიტიკურ და კულტურულ ზრდას.

ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა ბედნიერი ახალგაზრდობის მსვლელობა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, გადაიქცა ღონიერი, მარდი საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო პარადად, ახალგაზრდობის, რომელიც მზად არის ყოველ წუთში ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ მკერდით დაიცვას მშრომელთა სამშობლო.

საღამოს ქალაქის პარკებში, კლუბებსა და ბაღებში გაიმართა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამოები.

○

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღინიშნა საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ქალაქში, რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

(საქდესი).

მამაცი კოლმეურნე

შემთხვევა საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვარზე

ხაბაროვსკი, 4 სექტემბერი (საქდესი). კოლმეურნეობა „პერვოე მაის“ ტრაქტორისტი ამხ. სპირიდონ ნიკიფოროვი მუშაობდა „სტზ“ ტრაქტორზე საზღვრის მახლობლად, უეცრად გაისმა სროლა. ჯაგნარებიდან გამოხტა საზღვრის ოთხი დამრღვევი, ნახევრადსამხედრო ფორმით გამოწყობილი. ისინი ეცნენ სპირიდონოვს, ტრაქტორისტი არ დაიბნა, ჩამოხტა მანქანიდან და სწრაფად გაიქცა მესაზღვრეთა საგუშაგოსაკენ, რომელიც ახლოს მდებარეობს.

ამასობაში საზღვრის ერთერთი დამრღვევი მიუჯდა ტრაქტორის საჭეს და წაიყვანა იგი საზღვრის მიმართულებით. უკვე ზედ საზღვართან, პატარა მდინარის გადასვლისას, ტრაქტორმა უეცრად ბუქსაობა დაიწყო, მტრის მხარეზე გამოჩნდა იაპონელ - მანჯურთა რაზმი. მალე მოვიდნენ საბჭოთა მესაზღვრეები, რომელნიც ბარად ჩაწვნენ საზღვრის ჩვენს მხარეზე. დაშინებული დამრღვევი საზღვრისა ჩამოხტა ტრაქტორიდან და თავისიანებისაკენ გაიქცა.

მაშინ ტრაქტორისტმა ამხ. ნიკიფოროვმა გადასწყვიტა დაებრუნებინა თავისი მანქანა, მიუხედავად იმისა, რომ მას პირდაპირ დამიზნებული ჰქონდა იაპონელ-მანჯურთა შაშხანები. მამაცი კოლმეურნე „ჩტზ“ ტრაქტორით მივიდა საზღვრის დამრღვევის მიერ ზედ საზღვრის ხაზთან მიტოვებულ „სტზ“ ტრაქტორთან, ჩააბა მასზე მოტორი, გამოაბა ბუქსირს, ამოათრია მდინარიდან და კვლავ თავის საკოლმეურნეო მინდორზე გაიყვანა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე თბილისში
ახალგაზრდათა დემონსტრაციის ცალკეული მომენტები

ფოტო გ. ლინგისა

სსრ კავშირის მთავრობის პროტესტის ნოტა იტალიის მთავრობას

მოსკოვი, 7 სექტემბერი (საქდესი). გუშინ, ა. წ. 6 სექტემბერს, სსრ კავშირის საელჩომ იტალიაში, სსრ კავშირის მთავრობის დავალებით, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ჩიანოს გაუგზავნა პროტესტის შემდეგი ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩო იტალიაში იტალიის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის განკარგულებაში მოიპოვება ეჭვმიუტანელი დამამტკიცებელი საბუთები იტალიის სამხედრო გემების აგრესიული მოქმედებისა სსრ კავშირის სავაჭრო გემების წინააღმდეგ. აღნიშნული მოქმედებანი გამოიხატა იმაში, რომ იტალიის წყალქვეშა გემმა ჩასძირა საბჭოთა გემი „ტიმირიაზევი“, რომელიც ქვანახშირის ტვირთით მიდიოდა კარდიფიდან პორტ-საიდს და რომელზეც იერიში იქნა მიტანილი ა. წ. 30 აგვისტოს 22 საათზე ალჟირის აღმოსავლეთით 120 კილომეტრის მანძილზე. ასევე თავს დაესხნენ საბჭოთა გემს „ბლაგოევს“, რომელიც სასფალტო ფისის ტვირთით მარიუპოლიდან სეტას მიემართებოდა და რომელიც ჩაძირულ იქნა ა. წ. 1 სექტემბერს, 6 საათსა და 30 წუთზე, სკიროსის კუნძულიდან 15 მილის დაშორებით.

იტალიის მთავრობა, უეჭველია, მხედველობაში მიიღებს, რომ ეს აქტები, ჩადენილი საბჭოთა კავშირის სავაჭრო გემების მიმართ, რომლებიც ღია საზღვაო გზებით დაიარებიან, საბჭოთა კავშირისა, რომელსაც იტალიასთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, — აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო ჰუმანურობის პრინციპებს, არამედ საერთაშორისო სამართლის უაღრესად ელემენტარულ და საყოველთაო აღიარებულ ნორმებსაც. ამასთან ერთად აქტები იტალიის გემების თავდასხმისა იმ გემებზე, რომლებიც სსრ კავშირის დროშით დაიარებიან, არღვევს პაქტს, რაც დადებულია სსრ კავშირსა და იტალიას შორის 1933 წლის 2 სექტემბერს და რაც პირველ მუხლში ითვალისწინებს ხელშეკრულების მონაწილე თვითეული მხარის ვალდებულებას მეორის წინაშე „არავითარ შემთხვევაში არ მიმართოს მის წინააღმდეგ, არც ცალკე, არც ერთ ან რამდენიმე მესამე სახელმწიფოებთან ერთად არც ომს, არც რაიმე თავდასხმას ხმელეთზე, ზღვაში ან ჰაერში...“

ზემონათქვამის გამო, სსრ კავშირის საელჩო სსრ კავშირის მთავრობის სახელითა და დავალებით უაღრესად გადამწყვეტ პროტესტს უცხადებს იტალიის მთავრობას.

სსრ კავშირის მთავრობა იტალიის მთავრობას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას სსრ კავშირის დროშით მიმავალი სავაჭრო გემების მიმართ იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების აღნიშნულ აგრესიულ მოქმედებათა პოლიტიკური, აგრეთვე მატერიალური შედეგებისათვის.

სსრ კავშირის საელჩოს სსრ კავშირის მთავრობისაგან დავალებული აქვს დაჟინებით მოითხოვოს ამ აგრესიის გადაჭრით აღკვეთა შემდეგში და იმ ზარალის მთლიანად ანაზღაურება, რომელიც მოუვიდა საბჭოთა კავშირს ამ აქტების შედეგად, აგრეთვე იმ ზარალის, რომელიც მოუვიდათ დასახელებული საბჭოთა გემების მეზღვაურებს, ან მათ ოჯახებს. საელჩოს დავალებული აქვს აგრეთვე დაჟინებით მოითხოვოს იმ პირთა სანიმუშოდ დასჯა, რომელნიც დამნაშავენი არიან ხსენებულ აგრესიულ მოქმედებათა ჩადენაში“.

საბჭოთა მთავრობამ არადამაკმაყოფილებლად იცნო იტალიის პასუხი საპროტესტო ნოტაზე

სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ რომში 6 სექტემბერს საღამოს მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ჩიანოს ნოტა. იტალიის ნოტაში დადასტურებულია ამავე რიცხვით საბჭოთა საპროტესტო ნოტის მიღება და ნათქვამია, რომ იტალია უკუაგდებს პასუხისმგებლობას „ცნობილ ჩაძირვათათვის, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში“ და უარჰყოფს საბჭოთა ნოტის მოთხოვნებს.

საბჭოთა მთავრობამ დაავალა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას რომში განაცხადოს, რომ იტალიის პასუხს იგი სთვლის არადამაკმაყოფილებლად და მხარს უჭერს თავის ბრალდებებს.

(საკავშირო დეპეშათა სააგენტო)

თბომავალ „ტიმირიაზევის“ ეკიპაჟის დეპეშა

ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, კალინინის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩისა და პახომოვის სახელზე თბომავალ „ტიმირიაზევის“ ეკიპაჟისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

თავზეხელაღებული ფაშისტების მიერ პირატულად ჩაძირულ თბომავალ „ტიმირიაზევის“ ეკიპაჟი ავიდა თბომავალ „სმოლნის“ ქიმზე, რომელიც საბჭოთა ტერიტორიის ნაწილს შეადგენს. კომანდა დაღუპვას გადარჩა თავგანწირული მუშაობის შედეგად. ვგრძნობთ უაღრესად გულისხმიერ მზრუნველურ დამოკიდებულებას ჩვენი მთავრობის მხრივ, ჩვენდამი, საბჭოთა მეზღვაურებისადმი, რომელნიც ესოდენ მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ. თქვენს ზრუნვას ჩვენზე, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ვგრძნობთ მშობლიური მიწიდან ათასი მილის დაშორებით.

თბომავალ „ტიმირიაზევის“ ეკიპაჟი არწმუნებს პარტიას და მთავრობას, რომ ვერავითარი ბანდიტური თავდასხმანი ჩვენ ვერ შეგვაშინებენ. ჩვენ მზად ვართ ყოველ წუთს აღვდგეთ საზღვრების დასაცავად, შევასრულოთ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება.

თბომავალ „ტიმირიაზევის“ ეკიპაჟის დავალებით:
რინდიუკი, იაროშენკო, ლენიხი.
თბომავალი „სმოლნი“, ხუთი სექტემბერი, (საქდესი).

◆

სსრ კავშირის ისტორიის შესწავლა უფროს კლასებში

მოსკოვი, 7 სექტემბერი (საქდესი). როგორც ვიცით, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებს სსრ კავშირის ისტორიის სხვა, უფრო ვრცელი, სახელმძღვანელოს გამოსვლამდე შემოიღონ შესტაკოვის „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსის“ სწავლება არა მარტო მესამე და მეოთხე, არამედ აგრეთვე მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასებში. სსრ კავშირის ისტორიის მთელი კურსის შესწავლას თვითეულ ამ კლასში რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომი უთმობს 80 საათს. ისტორიის კურსის შესასწავლად ამ კლასებში მომზადებულია გაკვეთილების თემატიკა და სათანადო ბიბლიოგრაფია!

ამჟამად, რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომის მითითებით, მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში დაიწყო მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასების მასწავლებელთა მომზადება ისტორიის სწავლებისათვის. ეწყობა სათანადო სემინარები და პროფესორ შესტაკოვის რადიოლექციების კოლექტიურად მოსმენა. 3 სექტემბრიდან მოსკოვში მასწავლებლებისათვის მოეწყო ლექციების ციკლი, რომელსაც დასჭირდება 40 საათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

საფრანგეთისა და ბრიტანეთის საელჩოებმა სსრ კავშირში ა. წ. 6 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცეს იდენტიური ნოტები, რომელთა შინაარსი ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობები ფიქრობენ, რომ უკანონო თავდასხმებმა სავაჭრო გემებზე, რასაც გაუფრთხილებლად ახდენენ წყალქვეშა ნავები და თვითმფრინავები, რომლებიც მალავენ თავის ნაციონალურ მიკუთვნილებას, ხმელთაშუა ზღვაში შექმნეს მეტად სერიოზული სიტუაცია და აუცილებელი გახადეს ხმელთაშუა ზღვისა და სხვა სახელმწიფოების თათბირის მოწვევა შექმნილი მდგომარეობის განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობანი გამოსთქვამენ იმედს, რომ სსრ კავშირი წარმოდგენილი იქნება თათბირზე, რომელიც მოწვეულია 10 ამ სექტემბერს ჟენევის მახლობლად ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოების: იტალიის, სამხრეთსლავიის, ალბანეთის, საბერძნეთის, თურქეთისა და ეგვიპტის, შავი ზღვის სახელმწიფოების: სსრ კავშირის, რუმინეთისა და ბულგარეთის შემადგენლობით. მიწვევა თათბირში მონაწილეობის მისაღებად გაეგზავნა გერმანიასაც. ნოტებში აღნიშნულია, რომ თათბირი, საჭიროების შემთხვევაში, შესძლებს განიხილოს თათბირის მუშაობის შემდგომ სტადიაში მონაწილეობის მისაღებად სხვა სახელმწიფოთა ევენტუალური მიწვევის საკითხი.

ზემოაღნიშნული ნოტების საპასუხოდ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ა. წ. 7 სექტემბერს საფრანგეთისა და ბრიტანეთის საელჩოებს სსრ კავშირში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის შემდეგი პასუხი:

„საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, აცხადებს რა თავის პატივისცემას საფრანგეთისა და ბრიტანეთის საელჩოებისადმი, პატივი აქვს დაადასტუროს ამა წლის 6 სექტემბრის ნოტების მიღება, რომლებშიც საელჩოებმა, თავის მთავრობათა დავალებით, აცნობეს მას, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა აზრით, შეუწყნარებელი მდგომარეობა, წარმოშობილი ხმელთაშუა ზღვაში, იმ სავაჭრო გემებზე უკანონო თავდასხმებთან დაკავშირებით, რომლებიც დადიან მთელ რიგ სახელმწიფოთა დროშით, მოითხოვს ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს დაუყოვნებლივ თათბირს და მოქმედებას. იმავე ნოტებში საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა გამოსთქვეს იმედი, რომ სსრ კავშირის მთავრობა წარმოდგენილი იქნება ამ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობისათვის მიწვეულნი არიან ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოები: იტალია, სამხრეთსლავია, ალბანეთი, საბერძნეთი, თურქეთი და ეგვიპტე, შავი ზღვის სახელმწიფოები: სსრ კავშირი, რუმინეთი და ბულგარეთი, და გარდა ამისა გერმანიაც.

სსრ კავშირის მთავრობა, თავისი მხრით, სთვლის, რომ ზოგიერთი და, პირველ რიგში, იტალიის სამხედრო ხომალდების თავდასხმანი სავაჭრო გემებზე, რომლებიც სხვადასხვა ნაციონალური დროშით დადიან, აღიარებულ უნდა იქნან როგორც აბსოლუტურად შეუწყნარებელნი და საერთაშორისო სამართლის უაღრესად ელემენტარულ ნორმებთან და ჰუმანიურობის ძირითად პრინციპებთან შეურიგებელ წინააღმდეგობაში მყოფნი. სავსებით ცხადია, რომ ეს აგრესიული მოქმედებანი, რომელთაც ახდენენ ღია საზღვაო გზებზე და რომელნიც მიმართულნი არიან მშვიდობიანობისმოყვარე სახელმწიფოთა ნაოსნობის წინააღმდეგ, ჰქმნიან უშუალო მუქარას ევროპის უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობიანობისათვის.

აღნიშნულის გამო, სსრ კავშირის მთავრობა მზად არის მიიღოს მონაწილეობა თათბირში, რომელიც მოწვეულია საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა ინიციატივით 10 სექტემბერს და რომელმაც უნდა განიხილოს იმ ღონისძიებათა საკითხი, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველჰყონ ღია საზღვაო გზებზე ნაოსნობის უშიშროება, რაც მშვიდობიანობის ერთერთ საფუძველს წარმოადგენს.

ღებულობს რა მხედველობაში, რომ ზემოაღნიშნულ თათბირზე წარმოდგენილი იქნებიან ხმელთაშუა ზღვის ბასეინთან უშუალოდ დაკავშირებული სახელმწიფოები, სსრ კავშირის მთავრობა სთხოვს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს, როგორც ხმელთაშუა ზღვის თათბირის ინიციატორებს, აუხსნან მას მოტივები, რომელთა გამო ამ თათბირზე მიწვეულია გერმანია, რომელიც, როგორც ცნობილია, ასეთ სახელმწიფოს არ წარმოადგენს.

ამასთან ერთად, სსრ კავშირის მთავრობა ფიქრობს, რომ 10 სექტემბრის თათბირში მონაწილეობის მისაღებად ახლავე უნდა იქნას მიწვეული ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობაც, როგორც იმ ფაქტის გამო, რომ ესპანეთი წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოს, აგრეთვე უფრო მეტად იმიტომ, რომ ესპანეთის რესპუბლიკის ინტერესები განსაკუთრებით სერიოზულად ირღვევა პირატული სამხედრო ხომალდების აგრესიული მოქმედებით".
(საკავშირო დეპეშათა სააგენტო).

○ ○ ○

„კრასინის" ადგილსამყოფელი

5 სექტემბერს საღამოს, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსის ამხ. ო. ი. შმიდტის სახელზე მიღებულია ყინულმჭრელ „კრასინის" ექსპედიციის უფროსის ამხ. დრიგოს შემდეგი რადიოგრამა:

„ყინულმჭრელი „კრასინი". 5 სექტემბერს შუადღისას ყინულმჭრელი იმყოფება ჩრდილოეთის განედის 72 გრადუსსა და 27 წუთზე და დასავლეთის გრძედის 147 გრადუსზე. ჰქრის ორბალიანი ქარი. ყინული დახეთქილია წვრილ და მსხვილ ნამტვრევებად. მთელ დღეს ნისლია. გრაციანსკისთან კავშირი მაქვს დამყარებული.

დრიგო"

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში მეორე რადიოგრამა მიღებულია ამხ. გრაციანსკისაგან, რომელიც როგორც ვიცით, იმყოფება შმიდტის კონცხზე. ამხ. გრაციანსკიმ გამოგზავნა ცნობა, რომ ათავისუფლებს თავის თვითმფრინავს ყოველივე ზედმეტისაგან. ეს საშუალებას მისცემს მფრინავს გაადიდოს თავისი თვითმფრინავის მოქმედების რადიუსი თვითმფრინავ „ნ-209"-ის ძებნის დროს. როგორც კი ამინდი გაუმჯობესდება, ამხ. გრაციანსკი აპირებს გაფრენას ბაროუს კონცხის მიმართულებით.

სამხედრო მოქმედება ჩინეთში

იაპონიის გემების პირატული მოქმედება

ლონდონი, 6 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰონკონგის მახლობლად იაპონიის საესკადრო ნაღმოსანმა ყუმბარები დაუშინა ჩინეთის ორ საბაჟო გემს და ხელში ჩაიგდო ისინი. ერთი მათგანი ჩაძირულია. ინგლისის გემი „ტაიშანი", რომელიც 6 სექტემბერს ჰონკონგიდან კანტონს გაემგზავრა, დაბრუნდა ჰონკონგს მას შემდეგ, რაც ორჯერ იქნა გაჩერებული იაპონელთა საესკადრო ხომალდების მიერ.

იაპონელთა ჯარების უკან დახევა უსუნის ფრონტზე

შანხაი, 5 სექტემბერი (საქდესი). დღეს, ღამის 2 საათზე, იაპონელთა ჯარებმა იერიში მიიტანეს ფორტებზე უსუნსა და ბაოშანში. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ იაპონელთა ჯარებმა უკან დაიხიეს. ჩინელთა ჯარებმა წინ წაიწიეს 2 მილით.

12 საათზე იაპონიის სამმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ჩრდილოეთის ვაგზლის რაიონებსა და ჩაპეის. ჩინელთა საზენიტო არტილერიამ იაპონელთა თვითმფრინავებს ინტენსიური სროლა აუტეხა. იაპონელთა ერთი მძიმე ყუმბარმტყორცნი ჩამოაგდეს. მას ცეცხლი გაუჩნდა ჰაერში. ცოტა უფრო გვიან, ჩინელთა შტაბის ცნობებით, ჩამოაგდეს იაპონელთა მეორე თვითმფრინავიც, რომელიც დაზვერვას აწარმოებდა ჩრდილოეთის ვაგზლის რაიონში.

ჩინელთა სამხედრო წრეების ცნობებით, უსუნიდან 50 მილის მანძილზე დგას იაპონელთა 49 გემი, რომლებიც მოვიდნენ მთლად დატვირთულნი სამარი საჭურვლითა და ჯარებით.

უსუნის რაიონში ჩინელთა 75-ათასიანი ჯარია

ტოკიო, 4 სექტემბერი (საქდესი). იაპონური გაზეთების კორესპონდენტების ცნობით, იაპონელთა ჯარებს შანხაის რაიონში ამასწინათ მოუვიდათ მნიშვნელოვანი დამხმარე ძალები, რომელნიც შესდგებიან რამდენიმე სამხედრო გემისა და არმიის მთელი რიგი ახალი ნაწილებისაგან.

დომეი ცუსინის სააგენტოს კორესპონდენტის აზრით, ჩინელთა ჯარების ძალები უსუნის რაიონში დაახლოვებით 75 ათას ჯარისკაცს შეადგენს. კორესპონდენტი აცხადებს, რომ ჩინელთა ჯარების სარდლობა განაგრძობს ახალი დამხმარე ძალების გადაყვანას შანხაის ფრონტის ამ უბანზე.

საომარი მოქმედებანი ჩინეთში

შანხაი, 6 სექტემბერი (საქდესი). დღეს იაპონიის თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ ჯესფილდ პარკის დასავლეთით მდებარე რაიონს, სადაც გამართულია ჩინელ ლტოლვილთა ბანაკი. მოკლულია 69 კაცი, დაჭრილია 190. იაპონიის არტილერიამ ყუმბარები დაუშინა იანძიპუ ძიანვანს შუა მდებარე რაიონს. ჩინეთის წყაროებიდან იუწყებიან, რომ იანძიპუს რაიონში ესადის ნავსადგურთან, დღის განმავლობაში გადატვირთეს 18-დუიმიანი ქვემეხების 4 ბატარია. თითქოს უსუნს ჩავიდა იაპონელთა ორი დივიზია ომის დროისა. ჩინეთის ცნობების მიხედვით, შანხაიში ითვლება 67.700 იაპონელი ჯარისკაცი, ამათში 57 ათასი რეგულარულია.

დე ვანის ჯარები ჩინეთის მთავრობის მხარეზე გადავიდნენ

შანხაი, 5 სექტემბერი (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის აგენტის დე ვანის მანჯურ-მონღოლთა ჯარების მე-2 დივიზიამ, რომელიც ჩრდილო ჩახარში იყო, დივიზიის მეთაურის ინ ბაო-შანის და შტაბის უფროსის მეთაურობით განაცხადა, რომ ემორჩილება ჩინეთის მთავრობას. დივიზია სრული შემადგენლობით მივიდა „განსაზღვრულ პუნქტზე", სადაც მის რეორგანიზაციას მოახდენენ ჩინეთის სამხედრო ხელისუფალნი.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობებით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

რესპუბლიკელთა არმიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი გენერალი პოსასი ჩავიდა ბელჩიტეში. ჯარები მხურვალედ მიესალმნენ მას. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში გენერალმა პოსასმა განაცხადა, რომ არაგონიის ფრონტზე შეტევის დაწყებიდანვე, მიუხედავად მეამბოხეთა გააფთრებული ცდებისა გაარღვიონ რესპუბლიკელთა ჯარების ხაზი, — ოპერაციების ინიციატივა რჩება რესპუბლიკელთა ხელში. თანმიმდევრულად წარმოებული იერიშების შედეგად რესპუბლიკელთა ჯარებმა, გენერალ პოსასის სიტყვით, დაიკავეს 900 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ტყვედ წაიყვანეს 3 ათასი კაცი და მტერს მიაყენეს ისეთი ზარალი, რაც რამდენიმე ათას კაცს შეადგენს. ჩამოგდებულ იქნა მტრის 20-დე თვითმფრინავი. რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს პოზიციები, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ.

ბელჩიტეს დაკავება რესპუბლიკელთა ჯარების დიდი წარმატებაა.

ცენტრალური ფრონტი

ტრამა ონის რაიონში, კოგოლიუდოს ჩრდილო-დასავლეთით, რესპუბლიკელთა ჯარებმა მიიტანეს იერიში და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს მეამბოხეთა სანგრების ხაზი.

ესპანის სააგენტო იუწყება, რომ 5 სექტემბერს ღამით მეამბოხეთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მადრიდს. მსხვერპლთა რიცხვი და ბომბარდირებით მიყენებული ზარალის ოდენობა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

ჩრდილოეთის ფრონტი

უკანასკნელი ცნობებით, მეამბოხეებმა, რომელნიც სანაპიროს გასწვრივ მიიწევენ, დაიკავეს ქალაქი ლიანესი და ახლომახლო მდებარე მაღლობები.

○

ესპანის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ საჰაერო ბრძოლაში ჩრდილოეთის ფრონტზე რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა შესძლეს ჩამოეგდოთ ფაშისტთა ერთი თვითმფრინავი „ფიატი".

◆

ნედლეულის რესურსთა პრობლემის შემსწავლელ კომისიაში

სსრ კავშირის დელეგატის ამხ. როზენბლიუმის დეკლარაცია

ჟენევა, 5 სექტემბერი (საქდესი). გუშინ და დღეს ერთა ლიგასთან არსებულს ნედლეულის რესურსთა პრობლემის შემსწავლელ კომისიაში გაცხარებული დისკუსია სწარმოებდა საბჭოთა დელეგატის ამხ. როზენბლიუმის გამოსვლის გარშემო. ამხ. როზენბლიუმმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ არ არის საჭირო გამოვნახოთ იმ სახელმწიფოთა ფინანსირებისა და ნედლეულით მომარაგების მეთოდები, რომლებიც ამ დახმარებას აგრესიის მომზადებისა და ჩატარებისათვის იყენებენ. კომისიის თავმჯდომარე შვეიცარიელი შტუკი ცდილობდა შეებრუნებინა დისკუსია; მან გამოაცხადა, როზენბლიუმის მიერ წამოყენებული საკითხები, პოლიტიკური ხასიათისაა და ამ საკითხების განხილვა არ შედის კომისიის კომპეტენციაში. შტუკის მხარი დაუჭირეს იაპონიის, პოლონეთის, უნგრეთის, პორტუგალიისა და ბულგარეთის წარმომადგენლებმა. მას შემდეგ, რაც ამხ. როზენბლიუმი მეორეჯერ გამოვიდა და ინგლისის დელეგატი ლეიტროსი დაადგა მტკიცე პოზიციას, განაცხადა რა, რომ მას არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა იმ მოხსენებისათვის, რომელიც არ იძლევა მდგომარეობის ნამდვილ სურათს, ამის შემდეგ კომისიამ მოხსენების წინასიტყვაობაში ცალკე კარი შეიტანა. მასში აღნიშნულია, რომ აგრესორ ქვეყნების მიერ კრედიტის მიღების სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს „იმის შიში, რომ კრედიტი შეიძლება მოხმარდეს არა ნაყოფიერ მიზნებს".

არადამაკმაყოფილებლად ჩასთვალა რა ეს ფორმულირება, ამხ. როზენბლიუმმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებისთვის კომისია მოვალე იყო: 1. გარკვეულად გამოევლინებინა, რომ ნედლეულთან და ფინანსებთან დაკავშირებული სიძნელენი ზოგიერთ ინდუსტრიულ სახელმწიფოში უწინარეს ყოვლისა წარმოადგენენ მათი შეიარაღების პოლიტიკისა და აგრესიულ მისწრაფებათა შედეგს.

2. კატეგორიულად განეცხადებინა, რომ დაფინანსების გეგმა, გათვალისწინებული კომისიის მოხსენებაში, არ უნდა შეეფარდოს ამ ქვეყნებს, თუ მათი პოლიტიკა არ იძლევა საკმაო გარანტიას, რომ მიცემული კრედიტები არ იქნება გამოყენებული ისეთი მიზნებისათვის, რაც არღვევს მშვიდობიანობას ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში. 3. ერთა ლიგის პლენუმის ყურადღება მიექცია იმაზე, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ნედლეულს იყენებს აგრესიისა და ომის მიზნებისათვის.

პასუხი მოეთხოვოთ აღვირახსნილ ფაშისტ-აგრესორებს

საბჭოთა კავშირის ხალხები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდებიან ცნობას იმ საპროტესტო ნოტის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ გაუგზავნა იტალიის მთავრობას საბჭოთა სავაჭრო გემებზე იტალიის სამხედრო ხომალდების პირატულ თავდასხმათა გამო.

პირატული გემები ყველა გზაზე დარდანელიდან გიბრალტარამდე უთვალთვალებენ საბჭოთა კავშირის, ინგლისის, საფრანგეთის, დანიისა და სხვა ნაციონალური დროშებით მიმავალ მშვიდობიან სავაჭრო გემებს. განსაკუთრებული გააფთრებით ესხმიან თავს ფაშისტი პირატები ესპანეთის სავაჭრო გემებს, ცდილობენ რა ბლოკადის რკალი შემოარტყან რესპუბლიკურ ესპანეთს. მშვიდობიანობის მტრებმა, და პირველ რიგში იტალიის ფაშისტებმა, ხმელთაშუა ზღვა, ეს უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა, გადააქციეს საზღვაო ყაჩაღობის ასპარეზად, ომის საფრთხის ახალ კერად.

პირატები ლაჩრულად ცდილობენ შენიღბონ თავისი ყაჩაღური წყალქვეშა ნავები, შლიან რა მათს სახელწოდებებს. გამყიდველი ფაშისტური პრესა ამტკიცებს, რომ ხმელთაშუა ზღვაში მიმავალ სავაჭრო გემებს თავს ესხმიან „უცნობი ეროვნების" წყალქვეშა ნავებიო. საზიზღარი მასკარადია. უბადრუკი ხრიკებია!

ცნობილია, რომ ესპანეთის მეამბოხეთა განკარგულებაში არ არის წყალქვეშა ნავები. ესპანეთის ფლოტის ყველა წყალქვეშა ნავი, როგორც ეს ოფიციალურად განაცხადა ესპანეთის კანონიერმა მთავრობამ, ხალხის ერთგული დარჩა. არაკები იმის შესახებ, თითქოს მეამბოხეებს აქვთ წყალქვეშა ნავები, აშკარავდება თუნდაც იმით, რომ მეკობრენი მოქმედებენ უდიდეს მანძილზე ესპანეთის სანაპიროდან, კერძოდ, თურქეთის წყლებში. ამიტომ სავსებით ცხადია, რომ წყალქვეშა ნავები და სამხედროსაზღვაო ბაზები, რომლებსაც ეს ნავები ეყრდნობიან, შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ფაშისტურ იტალიას. ბოლოს, ვის დაარწმუნებს იტალიის ფაშისტების გამოუტეხლობა, როდესაც თვალწინ გვაქვს თბომავალ „ტიმირიაზევის" კაპიტნისა და მთელი კომანდის მოწმობა, რომლებიც ნათლად ხედავდნენ „უცნობ" სამხედრო გემზე იტალიის სამხედრო ფლოტის განმასხვავებელ ნიშნებს.

მთელი მსოფლიო მიუთითებს რომზე, როგორც ცენტრზე, საიდანაც ღებულობენ ბრძანებებს პირატთა ბრბოები. პარიზის, ლონდონის, ნიუ-იორკის ბურჟუაზიულმა პრესამ დიდიხანია გაშიფრა „უცნობ" მეკობრეთა ეროვნება.

საბჭოთა მთავრობის ნოტა საბოლოოდ ხდის ნიღაბს პირატებს. იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს მათ.

საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში არის იმის დამამტკიცებელი უდაო საბუთები, რომ პირატული მოქმედება საბჭოთა სავაჭრო გემების „ტიმირიაზევისა" და „ბლაგოევის" წინააღმდეგ, აგრეთვე უცხოეთის ბევრი გემის წინააღმდეგაც ჩაიდინეს იტალიის სამხედრო ხომალდებმა. ფაშისტურ იტალიას ეკისრება პირდაპირი პასუხისმგებლობა ამ საშინელ დანაშაულობათათვის.

საბჭოთა მთავრობამ უაღრესად გადაჭრით მიაქცია ფაშისტური იტალიის მთავრობის ყურადღება იმ გარემოებას, რომ იტალიის სამხედრო ხომალდების აგრესიული აქტები საბჭოთა კავშირის სავაჭრო გემების მიმართ აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო ჰუმანიურობის პრინციპებს, არამედ საერთაშორისო სამართლის უაღრესად ელემენტარულ ნორმებსაც კი. სავაჭრო ნაოსნობის უშიშროება ხალხთა საერთო ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად დებულებას წარმოადგენს.

იტალიელ აგრესორთა მოქმედება პირდაპირ ეწინააღმდეგება აგრეთვე სახელშეკრულებო ურთიერთობას, რაც საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის არსებობს. სსრ კავშირსა და იტალიას შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის არსებობას, რაც ჯერ კიდევ 1924 წელს დამყარდა, თავისთავად უნდა გამოერიცხა საბჭოთა კავშირის სავაჭრო გემების მიმართ იტალიის ყოველგვარი აგრესიული მოქმედების შესაძლებლობა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სსრ კავშირსა და იტალიას შორის 1933 წლის 2 სექტემბერს დადებულ იქნა „მეგობრობისა და თავდაუსხმელობის" პაქტი, რომელიც შეიცავს მხარეთა პირდაპირ ვალდებულებას არავითარ შემთხვევაში არ მიმართონ „არც ომს, არც რაიმე თავდასხმას ხმელეთზე, ზღვაში ან ჰაერში..." ამგვარად იტალიის სამხედრო გემების თავდასხმანი სსრ კავშირის სავაჭრო გემებზე წარმოადგენენ იტალიის მიერ საბჭოთა კავშირ-იტალიის პაქტის დარღვევას.

იტალიის ფაშისტები ჰბედავენ ხმალში გაიწვიონ დიდი საზღვაო სახელმწიფოები და ათეული პატარა სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებული არიან თავისი სავაჭრო ნაოსნობის უშიშროებით. ფაშისტი ყაჩაღები გათავხედდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ზოგიერთმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა სახელმწიფომ წაიყრუა აგრესია. ახლაც კი, როდესაც ფაშიზმის ნაფიცი მფარველები სერიოზულად შეშფოთებული არიან იმ მუქარით, რომელიც შეიქმნა სავაჭრო ნაოსნობისათვის ზღვის ღია გზებზე, ისინი მაინც ვერ ჰბედავენ წამოაყენონ ცოტად თუ ბევრად გადამწყვეტი ღონისძიებანი პირატების ასალაგმავად. კერძოდ, ინგლისის კონსერვატიული პრესა, უმთავრესად კომპრომისს ეძებს იტალიელ ფაშისტებთან და მხედველობაში არ ღებულობს იმას, რომ ფაშისტური იტალია მადა ჭამაში მოსდის. იტალიის პოლიტიკის განვითარებამ აბისინიის ხალხის წინააღმდეგ მძარცველური ომის დროიდან განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენა, რომ აგრესორის მიმართ კომპრომისისა და დათმობათა ყოველი ცდა მხოლოდ აქეზებს მას ახალი პროვოკაციებისა და აგრესიის ახალი აქტებისათვის.

საბჭოთა კავშირს თავისი ურყევი ძლიერების შეგნებით შეუძლია დამშვიდებული ზიზღით მოეკიდოს პროვოკაციებს ფაშისტ ავანტურისტთა მხრით, რომლებიც აშკარად ჰკარგავენ გონებას. აგრესორებს მოუხდებათ დარწმუნდნენ იმაში, რომ საბჭოთა კავშირი არ მოითმენს სამხედრო ხომალდების პირატულ მოქმედებას იმ სავაჭრო გემების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი სამშობლოს დროშით დადიან.

აცხადებს რა უაღრესად გადამწყვეტ პროტესტს საბჭოთა სავაჭრო გემებზე იტალიის სამხედრო ხომალდების თავდასხმის წინააღმდეგ, სსრ კავშირის მთავრობა ამასთან ერთად იტალიის მთავრობას აკისრებს მთელი სისრულით პასუხისმგებლობას ამ პირატულ თავდასხმათა პოლიტიკური და მატერიალური შედეგებისათვის. თავისთავად იგულისხმება, რომ მთელი ზარალი, რომელიც საბჭოთა კავშირმა და საბჭოთა მოქალაქეებმა ნახეს ამ აგრესიულ მოქმედებათა შედეგად, ანაზღაურებულ უნდა იქნას და აგრესიაში დამნაშავენი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

არ არის გამორიცხული, რომ იტალიელი ფაშისტები ახლაც კი შეეცდებიან უარჰყონ თავისი პასუხისმგებლობა საბჭოთა გემების პირატული ჩაძირვისათვის, მაგრამ უდაო ფაქტების ეს ლიტონი უარყოფა ვერავის ვერ დაარწმუნებს. საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვნად აღიარებს, რომ „ტიმირიაზევი" და „ბლაგოევი" ისე, როგორც უცხოეთის ბევრი გემი, ჩაძირულია იტალიის სამხედრო ხომალდებისაგან. საეჭვო არ არის აგრეთვე ის, რომ ხმელთაშუა ზღვაში ნაოსნობის უშიშროებით დაინტერესებულ სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელიც უახლოეს დღეებში მოწვეული იქნება შვეიცარიაში, თავისი მხრით დაადასტურებს, რომ ნაოსნობის უშიშროებას მუქარა შეუქმნა იტალიის სამხედრო ფლოტის აგრესიულმა მოქმედებამ.

ფაშისტმა აგრესორებმა უნდა შეიგნონ, რომ მათ წამოიწყეს ისეთი თამაში, რომელსაც შეიძლება მრისხანე შედეგები მოჰყვეს. მთელი მსოფლიოს მშრომელები, იტალიის მუშები და გლეხები ხედავენ, თუ ვინ იწვევს პროვოკაციულად ახალ მსოფლიო ომს.

საბჭოთა მეზღვაურები და სსრ კავშირის სავაჭრო გემები, რომლებიც უცხოეთის წყლებში დაცურავენ, დაუცველი როდი არიან. დიადი საბჭოთა სამშობლო, რომელიც სანაოსნოდ ჰგზავნის თავის შვილებს, შესძლებს დაიცვას ისინი აღვირახსნილი ყაჩაღებისაგან. თვითეული საბჭოთა გემი და თვითეული საბჭოთა მოქალაქე, სადაც უნდა იმყოფებოდნენ ისინი, დაცული არიან საბჭოთა კავშირის მთელი ძლიერებით. დეე, დაიმახსოვრონ ფაშისტმა პირატებმა, რომ სსრ კავშირის გემების დროშა ხელშეუხებელია ისე, როგორც ყოველი მტკაველი საბჭოთა მიწისა.

„პრავდის" მოწინავე, 7/IX

◆


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
საბჭოთა აფხაზეთი
საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, სოხუმის ქალაქკომის, აფხაზეთის ასსრ ცაკისა და სოხუმის ქალაქის საბჭოს ორგანო
1937 წ.
№ 1
ფასი 10 კაპ.

— „კომუნიზმის პრესის მძლავრ მწყობრში დღეიდან მტკიცედ ჩადგება ჩვენი გაზეთი — ეს არის გაზ. „საბჭოთა აფხაზეთის" პირველი ნომრის მეთაური წერილის პირველი სიტყვები. გაზეთმა გარკვეულად ჩამოაყალიბა თავისი საბრძოლო ამოცანები:

— „ჩვენი ვალია შეუდრეკლად და თავდადებით ვიბრძოლოთ იმ ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რომელიც დასმულია აფხაზეთის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებისა და მშრომელი მასების წინაშე.

ბოლომდე ვამხილოთ და დაუხდობლად გავანადგუროთ დივერსანტ - ჯაშუშები, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-ბუხარინელები და მათი ნაბოლარები — მშრომელი ხალხის ეს საზიზღარი მტრები, გავაძლიეროთ შემტევი რევოლუციური სიფხიზლე, აღმოვფხვრათ მავნებლობის შედეგები. დავეუფლოთ ბოლშევიზმს და მზრუნველობით გამოვზარდოთ კადრები; გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობა და მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ კომუნისტების იდეურ - პოლიტიკური დონე; ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად განვამტკიცოთ კოლმეურნეობები; ფართოდ გავშალოთ შინაპარტიული დემოკრატია, ვიბრძოლოთ მომავალი არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის, განუხრელად განვახორციელოთ ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკა, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებანი — ასეთია საბრძოლო ამოცანები", — სწერს გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი".

ათვალიერებ გაზეთს და ხედავ თუ რა დიდი ენტუზიაზმითა და პასუხისმგებლობით არის გაკეთებული თვითეული წერილი. თემატიკის მრავალფეროვნება, მებრძოლი ტონი—აი რა ახასიათებს გაზ. „საბჭოთა აფხაზეთს".

ამიერიდან აფხაზეთის მშრომელები „საბჭოთა აფხაზეთის" საშუალებით წაიკითხავენ ჩვენი დიადი ცხოვრების შესახებ საინტერესო ამბებს.

გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთს" კარგად ესმის, რომ მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულება შეუპოვარ და გულმოდგინე მუშაობას მოითხოვს. მკითხველებს იგი მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „ამბობენ — ყოველგვარი დასაწყისი ძნელიაო, ეს მართალია და ჩვენც პირველად მრავალ დაბრკოლებას წავაწყდებით ჩვენს მუშაობაში, მაგრამ ცხადია ისიც, რომ არ არსებობს ისეთი დაბრკოლება, რომლის დაძლევა და გადალახვა ჩვენ, ბოლშევიკებს, არ შეგვეძლოს".

პირველი ნომრის შთაბეჭდილების მიხედვით გადაჭრით შეიძლება ეთქვათ, რომ იგი არავითარი დაბრკოლების წინაშე არ დაიხევს უკან და ნამდვილად გახდება ბოლშევიზმის სახელოვანი მესიტყვე.

გაზ. „კომუნისტის" რედაქცია მხურვალედ მიესალმება გაზ. „საბჭოთა აფხაზეთის" პირველი ნომრის გამოსვლას. რედაქცია დარწმუნებულია, რომ ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობას ეს გაზეთი კიდევ უფრო განამტკიცებს, სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ - ბუხარინელთა და ხალხის სხვა მტერთა ნაბოლარებს, რომლებიც სცდილობენ შეარყიონ საბჭოთა ქვეყნის ძლიერება, მშრომელებს თავს დაატეხონ შიმშილი, მონობა, ექსპლოატაცია.

ღრმა რწმენას გამოვსთქვამთ, რომ გაზ. „საბჭოთა აფხაზეთის" თვითეული შემდგომი ნომერი გახდება კიდევ უფრო ბასრი, იდეურად გამართული, სრულად გამომხატველი ლენინის იმ აზრისა, რომ „გაზეთის როლი არ შემოიფარგლება მარტო იდეების გავრცელებით, მარტო პოლიტიკური აღზრდით და პოლიტიკურ მოკავშირეთა მოპოვებით. გაზეთი არ არის მხოლოდ კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, ის აგრეთვე კოლექტიური ორგანიზატორიც არის".

○ ○ ○

უდანაკლისოდ ავიღოთ თამბაქოს მოსავალი

უკანასკნელ ხანებში ამინდის ხელსაყრელი პირობების გამო თამბაქოს ფოთოლი ყვარლის რაიონში მასობრივად მომწიფდა. რაიონში მთლიანად ასაღებია 450 ჰექტარი თამბაქო. ეს ფრიად სერიოზულ სამუშაოს ავალებდა რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს თავიდანვე ჩამდგომოდნენ სათავეში ამ საქმეს და უზრუნველეყოთ თამბაქოს უდანაკარგოდ აღება. მაგრამ ამ მხრივ აქ სახარბიელო მდგომარეობა ვერ არის. თამბაქოს ფოთლის აღება როგორც კოლმეურნეობებში, ისე ერთპიროვნულ მეურნეობებში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში 28 აგვისტოსათვის აღებული იყო სულ 1.066.798 ზონარ-მეტრი, რაც წლიური გეგმის 44,5 პროცენტს არ აღემატება. ახალსოფლის საბჭოში შეტეხის წლიური გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული იყო 40 პროცენტით, ენისელისაში — 31-ით, საბუისაში—47-ით, სანავარდოსა და ყვარლისაში 39,3-ით.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში თამბაქო იწვის, ხარისხი ეცემა და დანაკარგები მატულობს. პირველი შეტეხა უნდა დამთავრებულიყო 15 აგვისტოს, ფაქტიურად კი 28 აგვისტოსათვის აღებული იყო გეგმის 33 პროცენტი. ასეთივე მდგომარეობაა მეორე და მესამე შეტეხაშიც.

რით უნდა აიხსნას ასე დიდი ჩამორჩენა თამბაქოს აღებაში?

რაიმიწგანმა და მტს-მა, სოფლის საბჭოებმა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა თავიდანვე ვერ შეაფასეს თამბაქოს აღების კამპანიის მნიშვნელობა, სათავეში ვერ ჩაუდგნენ ამ საქმეს და სათანადოდ ვერ მოაწესრიგეს შრომა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამორჩენაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მავნებლების მიერ მიყენებულმა ზიანმა. მტს-ის დირექტორის მოადგილედ პოლიტდარგში და რაიაღმასკომის თავმჯდომარედ იყვნენ ხალხის მტრები. მავნებლების მუშაობა მიმართული იყო საკოლმეურნეო მშენებლობის დანგრევისაკენ, მავნებლურად აწყობდნენ შრომას, არღვევდნენ აგროწესებს და ამით აქვეითებდნენ თამბაქოს ხარისხსა და მოსავლიანობას.

მთელი რიგი სოფლის საბჭოები, ნაცვლად იმისა, რომ გაშალონ ნამდვილი ბრძოლა თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დოყლაპიობას და უდარდელობას იჩენენ. ავიღოთ თუნდაც სანავარდოს სოფლსაბჭო, რომელშიაც სამი კოლმეურნეობა შედის. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. სეფაშვილმა არ იცის, თუ რა მდგომარეობაა ამ კოლმეურნეობებში, არ იცნობს თამბაქოს აღების დაწყებისა და დამთავრების აგროტექნიკურ ვადებს. პირველი შეტეხა აქ 10 დღის დაგვიანებით დაამთავრეს. 24 აგვისტოსათვის პირველი შეტეხის გეგმა 33 პროცენტით იყო შესრულებული.

სწორად არც მუშა-ხელია გამოყენებული. მაგალითად, განათლების სახელობის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში 24 აგვისტოს ნაცვლად 20 კაცისა, 13 მუშაობდა. ამავე კოლმეურნეობაში მისი ყოფილი თავმჯდომარის მავნებლობით 12 ჰექტარის ნაცვლად თამბაქო დარგული აღმოჩნდა მხოლოდ 8 ჰექტარზე.

მსგავსი მდგომარეობაა გავაზის სოფლსაბჭოშიც. ნაცვლად 6 შეტეხისა აქ მთელ რიგ პლანტაციებში 5 შეტეხა ტარდება. სოფლსაბჭოს თავმჯდომარე სამხარაძე ჩამორჩენას იმით ხსნის, თითქოს მუშა-ხელი პურის აღებაზე იყო გამოყენებული და ამიტომ თამბაქოსათვის ვერ მოიცალა. ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი კი მუშა-ხელის გამოუყენებლობაა. მაგალითად, კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში 24 აგვისტოს ნაცვლად 72-სა 36 კაცი მუშაობდა. უდისციპლინობის შედეგად გაჩაღებული ტეხის დროს 12 კაცმა სამუშაო მიატოვა და სათევზაოდ წავიდა.

საგრძნობლად ჩამორჩება მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობა. თამბაქოსათვის გამოყოფილი ჯგუფები აქ დაშლილია. ჯგუფებში გამოცდილი კოლმეურნეები უნდა შედიოდნენ, მაგრამ აქ ასე არ ხდება. ტეხისათვის დღის საუკეთესო დრო არ არის გამოყენებული. აგროწესების მიხედვით ტეხის საუკეთესო დროთ საღამო და ღამე ითვლება, მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამას ანგარიშს არ უწევენ. მაგალითად, განათლების, გორკის და კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობებში დილით რამდენიმე საათი მუშაობენ, საღამოთი შეტეხილი თამბაქოს აღებას უნდებიან, ხოლო მეორე დღეს ნაშუადღევამდე არ გადიან სამუშაოზე.

არც ფარდულების მშენებლობის გეგმაა შესრულებული. ყვარლის რაიონში გეგმით უნდა აგებულიყო 24 თვალი ახალი ფარდულები. აქედან 19 თვალის მშენებლობა დაწყებულია, მაგრამ ჯერ არცერთი არ არის დამთავრებული. დანარჩენი 5 თვალის მშენებლობას ჯერაც არ შესდგომიან. მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხა კი თავის დროზე იყო მიღებული.

თამბაქო ერთერთი ძვირფასი კულტურაა. თამბაქოს უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლა შეძლებული ცხოვრებისათვის ბრძოლაა.

ჰ. ქიქავა.

ამურის კომსომოლსკი-მოსკოვის გრანდიოზული ველოგადარბენის ფინიში

მოსკოვი, 6 სექტემბერი (საქდესი). 6 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდნენ ამურის კომსომოლსკის—მოსკოვის გრანდიოზული ველოგადარბენის მონაწილენი. 85 დღის განმავლობაში გადარბენის მონაწილეებმა ველოსიპედებით განვლეს 9.500 კილომეტრი. 2.500 კილომეტრის გავლა ველოსიპედისტებს ფეხით მოუხდათ; ისინი მიდიოდნენ ტაიგითა და რკინიგზების ლიანდაგით.

გადარბენა დამთავრდა ვადამდე 10 დღით ადრე.

უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა

ფეროშენადნობთა ქარხანაში

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დროზე გაიშალა მუშაობა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესასწავლად. საამქროებსა, ცვლებსა და ბრიგადებში ჩამოყალიბებულია წრეები, სადაც სისტემატურად ტარდება მეცადინეობა.

სადნობ საამქროს მეოთხე ბრიგადის (აგიტატორი ამხ. აკ. მიშველიძე) წრეში, სადაც გაერთიანებულია 23 მსმენელი, დღემდე მოეწყო 4 მეცადინეობა. ამ წრის შემოწმებამ დაადასტურა, რომ ჩატარებულ მეცადინეობათა ხარისხი არ არის ცუდი. მსმენელების დიდი უმრავლესობა კარგად ერკვევა ახალი საარჩევნო კანონის საკითხებში. მსმენელები: ა. შეპელი, ფ. გოშმანი, მ. შემეტუნი, კასტაშენკო და სხვ. დასმულ კითხვებზე სწორ და ამომწურავ პასუხს იძლევიან.

ასევე კარგად ერკვევიან უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების საკითხებში საცდელ საამქროს № 1 ბრიგადის წრის მსმენელებიც: კ. მალრაძე, ი. გოცაძე, შ. ფართლაძე, ვ. ბუაჩიძე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მცირემცოდნე მუშამ, სტახანოველმა ამხ. ვ. ბუაჩიძემ მისთვის დასმულ ყველა 7 კითხვაზე სავსებით დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ქარხანაში წრეების ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან შემოწმებული და სათანადოდ მომზადებული ამხანაგები, მაგრამ ქარხნის პარტკაბინეტი მათ ვერ უწევს სათანადო მეთოდურ ხელმძღვანელობას.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ამოცანაა არ დასტოვონ არცერთი მუშა-მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრი, რომელსაც არ ეცოდინება ახალი საარჩევნო კანონი და სტალინური კონსტიტუცია.

ვ. გოგიაშვილი

ახალ საარჩევნო კანონს წარმატებით სწავლობენ

(ქედის რაიონი, აჭარა)

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესასწავლად საქ. კ. პ. (ბ) ქედის რაიკომმა მთელი რიგი ღონისძიებები დასახა. მთელ რაიონში აღრიცხულ იქნა საარჩევნო ასაკის ყველა მოქალაქე და მათთვის შეიქმნა დებულების შემსწავლელი წრეები.

რაიონის 44 სოფელში ჩამოყალიბებულია სულ 155 წრე, სადაც გაერთიანებულია 6 ათასამდე მსმენელი.

წრეების ხელმძღვანელებად შერჩეულნი არიან შემოწმებული და სათანადოდ მომზადებული ადამიანები. შექმნილია აგიტკოლექტივები, რომლებიც კონსულტაციას უწევენ წრეების ხელმძღვანელებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის მეთოდებზე.

წრეების მეცადინეობაზე მშრომელთა დასწრება არ არის ცუდი. მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ ახალი საარჩევნო კანონის შესწავლის საქმეში.

მთიან გეგელიძეების კოლმეურნეობის სტახანოველმა კოლმეურნემ, 70 წლის მოხუცმა ბილბლი ხალვაშმა წრის მეცადინეობაზე განაცხადა:

„მე მინდა დაწვრილებით შევისწავლო ჩვენი ახალი საარჩევნო კანონი. არჩევნებში ხმას მივცემ მხოლოდ მშრომელთა საქმისათვის თავდადებულ და დიდი სტალინის ერთგულ ადამიანებს“.

— ჩემი ათი შვილი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყოველი ახალგაზრდა, გარემოცულია სტალინური მზრუნველობით. ჩვენ შევხარით საამურ ცხოვრებას. კარგად ვიცით, ვინც შეგვიქმნა ეს ბედნიერი ცხოვრება და ვის უნდა მივცეთ ხმა მომავალ არჩევნებში, — ამბობს სოფ. ვარჯანისის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ათი შვილის მამა ამხ. აბდულ ბერიძე. ასევე ლაპარაკობს 68 წლის მოხუცი ბაშია ბერიძე და ასევე ლაპარაკობენ საბჭოთა აჭარის დანარჩენი მშრომელები, რომელნიც, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად, სწავლობენ ახალ საარჩევნო კანონს, სწავლობენ მტრის გამოცნობას და წარმატებით ემზადებიან საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის.

გ. რუსიეშვილი.

დებულების შესწავლა მივიწყებულია

სიღნაღი, 7 სექტემბერი (საქდესი). უზენაესი საბჭოს არჩევნები ახლოვდება, მაგრამ ახალი საარჩევნო კანონის დამუშავება-შესწავლისათვის სიღნაღის რაიონში დღემდე თითქმის არაფერი გაუკეთებიათ.

დებულების შესწავლა მხოლოდ პარტგანათლების ქსელში დაიწყეს. რაიონის ხელმძღვანელობა ამით დაკმაყოფილდა და კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი მასები კი დაივიწყეს.

უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესასწავლად კოლმეურნეობებში არცერთი წრე არ არის შექმნილი. კოლმეურნენი, დიასახლისები, ერთპიროვნული გლეხები და შინამრეწველები არ იცნობენ ახალ საარჩევნო კანონს.

რაიონში ერთხელაც არ ჩატარებულა პოლიტდღე დებულების ღრმად შესწავლისათვის. მივიწყებულია საგიტაციო მუშაობაც. არაფერი კეთდება წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა შორის. სრულებით არაფერს აკეთებს პარტკაბინეტი (გამგე ბოძიაშვილი). არ ტარდება კონსულტაციები, სემინარების მეცადინეობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

რაიაღმასკომს დღემდე არაფერი გაუკეთებია ახალი საარჩევნო კანონის შესასწავლად. სადეპუტატო ჯგუფები და საბჭოს აქტივი არ იცნობენ ახალ საარჩევნო კანონს.

რაიონის სასოფლო საბჭოებს დებულების შესწავლის საკითხი სრულიად არ მოუსმენიათ არც საბჭოს პლენუმზე, არც პრეზიდიუმში და არც სადეპუტატო ჯგუფებში.

ყველა ეს ფაქტი იმას ლაპარაკობს, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ მიივიწყა დებულების შესწავლის საქმე და არ ზრუნავს იმისათვის, რომ თვითეული ამომრჩეველი ღრმად და შინაარსიანად იცნობდეს ახალ საარჩევნო კანონს.

თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის აგიტატორი ამხ. იგნატიევი მუშებს უკითხავს „დებულებას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“. ფოტო გინზბურგის („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

მასების აღფრთოვანებას სათავეში არ უდგანან

(ცაგერი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

ლეჩხუმის კოლმეურნე მშრომელები უსაზღვრო აღტაცებით შეხვდნენ სსრკ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების გამოქვეყნებას.

რაიონის პირველადი პარტორგანიზაციებისა და სოფლის საბჭოების პლენუმებზე განხილულ იქნა ახალი საარჩევნო კანონი და დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი მისი ახსნა-განმარტებისა და შესწავლისათვის. კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა ინიციატივით, ჩამოყალიბდა სსრკ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეები. მაგალითად, კოლმეურნეთა ინიციატივით სოფელ თაბორის, ზემო ლვირიშის, ულხერის, ნასპერის და ზოგიშის კოლმეურნეობებში ჩამოყალიბდა 15 წრე, რომლებშიც აგვისტოს შუა რიცხვებისათვის ჩაბმული იყო 450 კოლმეურნე და კოლმეურნე-ქალი. თაბორში დებულების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელობა იკისრეს და ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს მოწინავე კოლმეურნეებმა ვ. სადილიანმა და ქარსელაძემ. ენერგიულად მუშაობენ აგრეთვე გრ. ნემსიწვერიძისა და ვ. გოლეთიანის ხელმძღვანელობით არსებული წრეები (ულხერის კოლმეურნეობა). შედარებით კარგად მუშაობენ ზ. ლვირიშისა და ნასპერის კოლმეურნეობებში არსებული წრეების ხელმძღვანელები რ. ხეცურიანი, ბ. ირემაძე, შ. ღურჭუმელიძე და აკ. გასვიანი. წრეების მუშაობას ხელს უწყობს რაიკომის პარტგანათლების სახლი, რომელმაც მათ მიაწოდა კონკრეტული გეგმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესასწავლად. ამ გეგმით გათვალისწინებულია, საარჩევნო კანონის შესწავლის მიზნით, კარგად შესწავლილ იქნას ამხანაგი სტალინის მოხსენება, გაკეთებული საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობაზე, და სსრკ-ის ახალი სტალინური კონსტიტუცია.

ახალი საარჩევნო კანონის გაცნობა-შესწავლასთან დაკავშირებით ლეჩხუმის საკოლმეურნეო სოფლებში კიდევ უფრო გაიზარდა შრომითი ენტუზიაზმი. სოფელ ორხვის, ზოგიშის, ოყურეშის, ზემო ორბელის და გაგულეჩის კოლმეურნეობათა წევრებმა აიღეს ვალდებულება — საუკეთესო ხარისხის ყურძნის მოსავალი თვითეულ ჰექტარზე, ნაცვლად 30-40 ცენტნერისა, აიყვანონ 55-60 ცენტნერამდე და ამით მოიპოვონ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება. ქვემო ცაგერის, ზემო ცაგერის და მახაშის კოლმეურნეობებმა დასდეს პირობა, რომ წელს მიაღწევენ რაიონისათვის სიმინდის სარეკორდო მოსავალს — ჰექტარზე 15-17 ცენტნერს, ნაცვლად 10-12 ცენტნერისა, რომელიც წინა წლებში მოჰყავდათ.

მაგრამ სსრკ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების ახსნა-განმარტებისა და შესწავლის საქმე რაიონის ბევრ პირველადს ორგანიზაციას, სას. საბჭოსა და კოლმეურნეობას ხელმძღვანელს სრულიად გამორჩა მხედველობიდან; მაგალითად, ალვის სოფლის საბჭომ (ყოფილი თავმჯდომარე ალ. ყურაშვილი) არათუ ცალკე სოფლებსა, კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებში ვერ გაშალა მუშაობა „დებულების“ ახსნა-განმარტებისათვის, არამედ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ თვით საბჭოს წევრებისათვის გაეცნო და წაეკითხნა იგი. საბჭოში 4 კოლმეურნეობა შედის, და 27 აგვისტოსათვის არცერთ მათგანში არ იყო შექმნილი ახალი საარჩევნო კანონის შემსწავლელი წრეები, მაშინ, როდესაც კოლმეურნეებს ამის დიდი სურვილი აქვთ. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ლაძგვერიის, ზუბისა და ქულბაქის სას. საბჭოებშიც. ალპანის კოლმეურნეობაზე ამ საქმისათვის მიმაგრებული ამხ. ბაზიარი (პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი) პირველადს პარტორგანიზაციაში საკითხის მხოლოდ ფორმალური დამუშავებით დაკმაყოფილდა და დანარჩენი მუშაობა პარტორგ ჯანაძეს მიანდო. ტვიშის კლუბ-სამკითხველოსთან არსებული „დებულების“ შემსწავლელი წრის ხელმძღვანელს ვალ. კენჭაძეს (არასრული საშ. სკოლის დირექტორი), თავისი მოვალეობის შესრულება ჯერაც არ გახსენებია. ასევე მოიქცა ქვემო-ლვირიშის კოლმეურნეობაში შექმნილი წრის ხელმძღვანელი ვალ. გიორგობიანიც. დასახელებული ადგილების პირველადს პარტორგანიზაციებს აქამდე ვერ შეუგნიათ, რომ პარტიული ხელმძღვანელობის გარეშე მასები წარმატებით და საფუძვლიანად ვერ შეისწავლიან ახალ საარჩევნო კანონს.

არადამაკმაყოფილებელია რაიონის საბჭოთა, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა სსრკ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების მშრომელი მოსახლეობისათვის ახსნა-განმარტების საქმეში. მათ, ზოგიერთ ძირეულ ორგანიზაციებთან ერთად, მხედველობიდან გამორჩათ რაიონის დიასახლისებსა, საძოვრებზე მყოფ მეცხოველეობის ფერმათა მუშაკებისა და ერთპიროვნულ მეურნეებში „დებულების“ ახსნა-განმარტებისა და შესწავლის მოწყობის საკითხი. კოლმეურნეობებთან ჩამოყალიბებულ წრეებში თითქმის სულ არ არიან გაერთიანებული ერთპიროვნული მეურნეები, მაშინ, როდესაც რაიონის გლეხურ მეურნეობათა 30 პროცენტს ერთპიროვნული მეურნეები შეადგენენ. ეს ფაქტი მოწმობს ხვალინდელ კოლმეურნეებთან მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის შეუფასებლობას. ამ მხრივ სრულიად არასაკმარისია საქ. ალკკ ცაგერის რაიკომის მუშაობა, რომელმაც ორგანიზებულად ვერ მოაწყო ახალი საარჩევნო კანონის შესწავლა რაიონის მშრომელ ახალგაზრდობაში. პროფესიული კავშირები კი ამ საქმისაგან სრულიად განზე დგანან, თითქოს ისინი არაფერ შუაში არიან!

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების ფართო მასებამდე დაყვანის საქმეს აფერხებს აგრეთვე საჭირო ლიტერატურისა და გაზეთების უქონლობა. რაიონის ისეთ ადგილებში, როგორიცაა ლაძგვერია, ოყურეში, ზუბი, ქულბაქი, წიფერჩი, ლუხვანო, ალვი და ორბელი, ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთები იშვიათად ვრცელდება, ხოლო ცალკე ბროშურებად გამოცემული ამხ. იაკოვლევის მოხსენება და სსრკ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება სრულებით არ მოეპოვებათ.

ცაგერის რაიონის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ ახლა, როცა მოცემულია სსრკ-ის სტალინური კონსტიტუციის შესაბამისად შემუშავებული უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არჩევნებისათვის მზადებას და, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის მიერ ახალი საარჩევნო კანონისა და თავის უფლება-მოვალეობათა ცოდნას.

გ. ყურაშვილი

კოლმეურნეები სწავლობენ ახალ საარჩევნო კანონს

ფ. მახარაძის სახელობის საგარეუბნო კოლმეურნეობაში მიმდინარეობს უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების, ამხ. იაკოვლევის მოხსენების და სტალინური კონსტიტუციის ღრმად შესწავლა.

27 ბრიგადაში, სადაც 700-ზე მეტი კოლმეურნე მუშაობს, სისტემატურად სწარმოებს ახალი საარჩევნო კანონის კითხვა და ახსნა-განმარტება.

ბრიგადებისა და ფერმების კოლმეურნეები დიდ ინტერესს იჩენენ ახალი კანონის შესწავლისადმი. 500-ზე მეტმა კოლმეურნემ შეიძინა ბროშურები — „დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ და დამოუკიდებლად ემზადება მეცადინეობისათვის.

მეცადინეობაზე კოლმეურნეები იძლევიან ბევრ კითხვას. ზოგს აინტერესებს, თუ როგორ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში ყრუმუნჯები, სხვებს — განსხვავება კავშირის უზენაეს საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შორის, მათი ფუნქციები და ურთიერთ დამოკიდებულება მუშაობაში და სხვ. ახალი კანონის შესწავლამ გამოიწვია შრომითი ენტუზიაზმის ახალი ტალღა. ბრიგადირმა ამხ. მახვილაძემ თავის ბრიგადასთან ერთად იკისრა ვალდებულება მოსპოს წერა-კითხვის უცოდინარობა თავის ბრიგადის კოლმეურნეებში, ფრიადზე შეისწავლოს ახალი საარჩევნო კანონი, სრულიად აღმოფხვრას სამუშაოზე გაუსვლელობა და სხვ.

ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე კოლმეურნეებმა კვანტალიანმა, შუკილაძემ, ბაკიშ აბაზ-ოღლიმ, გულ მალი-ოღლიმ და სხვებმა.

დიდი მუშაობა დაიწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. კოლმეურნეობაში მუშაობენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, სადაც მეცადინეობა სწარმოებს ქართულ, რუსულ და აზერბეიჯანულ ენაზე.

5 სექტემბერს შესდგება საერთო-საკოლმეურნეო პოლიტდღე. ბრიგადებში აგიტატორები აგროვებენ კოლმეურნეთა კითხვებს.

გამგეობაში, სადაც ყოველდღე საღამოობით ბევრი კოლმეურნე მიდის, ჩამოკიდებულია ყუთი კითხვების შესაგროვებლად (საქდესი).

არ ზრუნავენ ახალი საარჩევნო კანონის შესწავლაზე

(ჩხარი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპ.)

ჩხარის რაიონში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლას თავიდანვე არასაკმაო ყურადღებით მოეპყრნენ.

ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი მხოლოდ ერთხელ (ისიც არა ყველგან) იქნა წაკითხული კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ პარტიულ, პროფესიულ ორგანიზაციებს და ქალაქისა და სოფლის საბჭოებს არაფერი არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ მშრომელთა ფართო მასებისათვის შეესწავლებინათ ახალი საარჩევნო კანონი.

რაიონში არცერთ წარმოება-დაწესებულებასა და კოლმეურნეობაში არ ჩამოყალიბებულა უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი სპეციალური წრეები.

საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომი იძულებული იყო თავის ამა წლის 28 აგვისტოს ბიუროს დადგენილებაში ეღიარებინა, რომ „საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა - დამუშავება რაიონის მშრომელთა და მუშა-მოსამსახურეთა შორის მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად“.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად რაიკომმა „დასახა ღონისძიებანი“, კოლმეურნეობებს წრეების ხელმძღვანელებად რაიონიდან მიამაგრა პარტიული და კომკავშირელი ამხანაგები, მაგრამ მიმაგრებულნი ჯერ კიდევ არ მისულან ადგილებზე და დებულების შესწავლა ფაქტიურად ჯერაც არ არის დაწყებული.

საინტერესოა, როდემდის აპირებენ ჩხარის რაიონის ხელმძღვანელები განაგრძონ უდარდელი დამოკიდებულება ახალი საარჩევნო კანონის შესწავლისადმი.

ივ. გვასალია

სწავლობენ ახალ საარჩევნო კანონს

ფეხსაცმელის № 2 ფაბრიკაში კარგად არის მოწყობილი უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა.

პროპაგანდისტებისათვის კონსულტაციების მოწყობასთან ერთად, პარტორგანიზაციამ პარტკაბინეტთან მოაწყო კონსულტაციები ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

აგიტატორები საამქროებსა და ცვლებში, პროპაგანდისტები წრეებში სისტემატურად განმარტავენ ახალ საარჩევნო კანონს.

აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა დაახლოებით 50 კითხვა შეაგროვეს თავიანთ მსმენელებს შორის. ამ კითხვებს ამომწურავი პასუხი გაეცემა მომავალ საერთოსაქარხნო პოლიტდღეს.

პარტორგანიზაციამ და საფაბრიკო კომიტეტმა გადასწყვიტეს, მოიწვიონ ფაბრიკის მუშების ცოლები და განუმარტონ მათ ახალი საარჩევნო კანონი. მუშების უკლებლივ ყველა ცოლის მოსვლის უზრუნველსაყოფად საფაბრიკო კომიტეტი მოაწყობს ერთდღიან საბავშვო ბაგას.

ფაბრიკასთან მუშაობენ წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის წრეები. წრეებში აბამენ ფაბრიკის წერაკითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მუშებს იმ მიზნით, რომ არჩევნების დაწყებისათვის თვითეულ მუშას შეეძლოს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემაში. (საქდესი).

პრ. რატიანი

ღრმად შევისწავლოთ სტალინური საარჩევნო კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სტალინური კონსტიტუცია მოასწავებს მობრუნებას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი განუზომლად ზრდის მშრომელთა პოლიტიკურ აქტივობას და მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს არჩევნებში აქტიური მონაწილეობისაკენ.

ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც სავსებით გამომდინარეობს სტალინური კონსტიტუციიდან, „განასახიერებს თანმიმდევარ და ბოლომდე მტკიცე საბჭოთა სოციალისტურ დემოკრატიზმს“, იგი სახელმწიფო მმართველობაში აბამს მშრომელთა ახალ, უფართოეს ფენებს, რითაც „პროლეტარიატის დიქტატურა იქნება უფრო მოქნილი და, მაშასადამე, უფრო მძლავრი სისტემა საზოგადოების მიმართ მუშათა კლასის სახელმწიფო ხელმძღვანელობისა“ (კალინინი).

ახლა, როდესაც მოახლოვებულია დიადი ისტორიული მოვლენა — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე, უპირველესი ამოცანაა განვუმარტოთ და შევასწავლოთ უკლებლივ მთელ მოსახლეობას სტალინური საარჩევნო კანონის შინაარსი.

თბილისის რაისაბჭოების, საწარმო-დაწესებულებებისა და საქართველოს მთელი რიგი რაიონების შემოწმებამ დაგვანახვა, რომ უმრავლეს ადგილებში ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა სწორად გაიგეს თავიანთი ამოცანა და გააჩაღეს მუშაობა მშრომელ მასებში ახალი საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტებისათვის. ამის შედეგად, ამჟამად საქართველოს ათეულ ათასობით მშრომელნი, გულმოდგინედ სწავლობენ თავიანთ უფლება-მოვალეობას მომავალ არჩევნებში.

მაგრამ პირველადი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის საბჭოების საგრძნობმა ნაწილმა სათანადოთ ვერ შეაფასა უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, და სწორედ აქედან წარმოსდგა ბევრ ადგილას შეუწყნარებელი უდარდელობა და თვითდინება ამ საქმეში.

როგორია ის მთავარი ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებენ ახალი საარჩევნო კანონის შესწავლის საქმეს?

პირველი უდიდესი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ არც ქალაქად და არც სოფლად ახალი საარჩევნო კანონის შესწავლაში ჩაბმული არ არის **მთელი მოსახლეობა**.

თბილისში ჯერ კიდევ მცირე როდია ისეთ საწარმოთა და დაწესებულებათა რიცხვი, სადაც უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესასწავლად მთელი მუშაობა განსაზღვრეს მისი მხოლოდ ერთხელ წაკითხვით მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და ამით თავიანთი მოვალეობა ამოწურულად ჩასთვალეს. ასეთ საწარმო-დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნიან: სამკერვალო ფაბრიკა № 2, ფეხსაცმლის ქარხანა № 1, სტამბა „ტექნიკა და შრომა“, სატრიკოტაჟო ქარხანა, სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობა, მარგარინის ქარხანა, პირველი საავადმყოფო და სხვ.

ახალი საარჩევნო კანონის შესწავლა განსაკუთრებით ცუდად დაყენებულია არაორგანიზებულ მოსახლეობაში — დიასახლისებსა, შინამოსამსახურეებსა, მეეზოვეებსა და სხვ. შორის.

თბილისის 4 რაიონში არაორგანიზებულ მოსახლეობაში ჩამოყალიბებულ 586 წრიდან ამჟამად მეცადინეობა მიმდინარეობს მხოლოდ 319 წრეში, დანარჩენ წრეებში კი მეცადინეობა არ სწარმოებს (რაც შეეხება კიროვის რაიონს, აქ არაორგანიზებული მოსახლეობისათვის მხოლოდ ერთი წრეა ჩამოყალიბებული!). ამ 319 წრეშიაც დასწრების პროცენტი დაბალია და ხშირად აქვს ადგილი მეცადინეობის ჩაშლას პროპაგანდისტების გამოუცხადებლობის გამო.

მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონში რამდენჯერმე ჩაიშალა წრების მეცადინეობა პროპაგანდისტების — სანიკიძის, როსის, მოსიძისა და ლალაშვილის გამოუცხადებლობით; სტალინის რაიონში — პერტახიას და ხომერიკის გამოუცხადებლობით და ა. შ.

როგორც ამ ფაქტებიდან ჩანს, ბევრი ამხანაგი ივიწყებს, რომ „ამომრჩეველთა სწორედ ამ ნაწილში მტერი განსაკუთრებით აქტიურად ცდილობს თავისი მომხრეების მოძებნას“ (ა. ვიშინსკი).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეების საგრძნობი ნაწილის დიდი ნაკლია განვლილი მასალის შეთვისების მეტად დაბალი ხარისხი; მაგალითად, სტალინის რაიონში — მესამე ქვერაიონის წრის მსმენელებმა: ტყეშელაშვილმა, კვანტალიანმა, სულთანიშვილმა და სხვ: საუბრის დროს ვერც კი გაიხსენეს, თუ რა საკითხზე ჰქონდათ ლაპარაკი დებულების შემსწავლელ წრეში. სარეწაო კავშირის აპარატის მუშაკებს — მედვედოვასა და ავალიშვილს წარმოდგენაც არა აქვთ ახალ საარჩევნო კანონზე.

შრომის სასახლეში მომუშავემ, ადგილკომის თავმჯდომარე ხმალაძემ საუბრის დროს განაცხადა: „ვიცი, რომ მამაკაცებს 18 წლის შესრულების შემდეგ აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ქალებს კი — არა, მათ მეტი წლები სჭირდებათო“. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები არც ისე იშვიათია!

ეს მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ წრეების ხელმძღვანელებისა და აგიტატორების შერჩევას ხშირად არასაკმაო ყურადღებით ეპყრობიან, ხოლო მათდამი მეთოდური ხელმძღვანელობა ბევრ ადგილას სუსტია. ასე, მაგალითად, „ტექნიკა და შრომის“ თანამშრომელი ამხ. არუთინოვი აცხადებს, „მცირემცოდნე ვარ, ახალი არჩევნების საკითხებში ვერ ვერკვევი, მაგრამ აგიტატორად მაინც გამომყვესო“.

როგორღა მიმდინარეობს არჩევნების დებულების შესწავლა რაიონებში?

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა არასაკმაოდ შეაფასეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის მნიშვნელობა. სხვანაირად შეუძლებელია ავხსნათ ის მდგომარეობა, რომ დებულების შესწავლა აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ტყიბულის, სიღნაღის, ლაგოდეხის, გორის, ხობის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, კასპის, ლანჩხუთის, ჩხარისა და ბორჯომის რაიონებში.

მოვიყვანოთ რამოდენიმე დამახასიათებელი მაგალითი.

ლანჩხუთის რაიაღმასკომსა და ქალაქის საბჭოს სრულებით არაფერი გაუკეთებია რაიონის მშრომელებისათვის ახალი საარჩევნო კანონის გასაცნობად, არც პრეზიდიუმზე და არც პლენუმზე ეს საკითხი არ განუხილავთ. ქალაქის საბჭოს წევრებს — ვ. ჩხაიძეს, ს. კვიტაიშვილს, გრ. ჩხაიძეს, ქ. ქანთარიას და ლ. ჩხაიძეს თვითონაც არა აქვთ შესწავლილი დებულება და ძალიან სუსტად ერკვევიან არჩევნების საკითხებში. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ლანჩხუთის ბევრ სასოფლო საბჭოშიც ცუდად არის დაყენებული დებულების შესწავლა. მაგალითად, გუმბალაურის სასოფლო საბჭოში არც კი მოჰგონებიათ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა.

უდარდელობაში ლანჩხუთის ქალაქის საბჭოს არც ბორჯომის ქალაქის საბჭო ჩამოუვარდება. საბჭოს თავმჯდომარე სიმონ კაპანაძემ და აპარატის მუშაკებმა — შერგულაშვილმა, კოპტანაშვილმა და დიასამიძემ არც კი იციან, თუ როგორ მიმდინარეობს დებულების შესწავლა ქალაქის საწარმო-დაწესებულებებსა და შეუკავშირებელ მოსახლეობაში.

ტაძრისისა და დვირის სასოფლო საბჭოებმა დებულების შესწავლის საქმეში მთელი თავისი მუშაობა იმით ამოსწურეს, რომ კოლმეურნეობებს მიამაგრეს რამდენიმე მუშაკი ამ საკითხზე საუბრების ჩასატარებლად. დვირის სასოფლო საბჭოს მიერ მიმაგრებულ კურტანიძეს, ხუჭუას, გელაშვილსა და ხაჭაპურიძეს მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ, ხოლო ტაძრისის სასოფლო საბჭოდან მიმაგრებულნი ერთი საუბრის გამართვით დაკმაყოფილდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საუბრების ჩასატარებლად მიმაგრებული ამხანაგები ხშირად თვითონაც ვერ ერკვევიან დებულების შინაარსში. მაგალითად, მიმაგრებულ ამხანაგ ეფრემ ზარიძეს (ტაძრისის სასოფლო საბჭო) თვითონ არა აქვს წაკითხული უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება. მისი აზრით, „საარჩევნო კომისია საერთო კრებამ უნდა არჩიოს“.

ქვაბის-ხევის კოლმეურნეობაზე მიმაგრებულმა ამხ. გელაშვილმა საუბრის დროს განაცხადა: „საარჩევნო კომისიას უბნის მცხოვრებლები გამოჰყოფენ საბჭოს წევრებიდანო“. მისივე აზრით, „უზენაესი საბჭოს დეპუტატი ირჩევა ყოველ ათას მცხოვრებზე ერთი“. ასეთი კურიოზული ფაქტების მოყვანა სამწუხაროდ, მრავლად შეიძლება.

ახალი საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტებისათვის უნდა ვიყენებდეთ არა მარტო სპეციალურ წრეებს, არამედ აგიტაციის ყოველგვარ საშუალებასაც. ეს ჭეშმარიტება ყველას როდი აქვს შეგნებული. ამით აიხსნება, რომ, მაგალითად, ბევრ სოფელში აგიტაციის ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიცაა ქოხ-სამკითხველო, სრულ უმოქმედობას იჩენს. მაგალითად, ბორჯომის რაიონის სოფელ დვირის ქოხ-სამკითხველოს სრულებით არაფერი გაუკეთებია კოლმეურნე და ერთპიროვნულ გლეხთა შორის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების ახსნა-განმარტებისათვის. სამკითხველოს გამგე ნინო ბლიაძე ღიმილით აცხადებს, „არჩევნების დებულება ჯერ მეც არ წამიკითხავსო“.

ბევრ სასოფლო საბჭოს მხედველობიდან გამორჩა ახალი საარჩევნო კანონის შესწავლის მოწყობა ერთპიროვნულ გლეხთა შორის. უნდა გვახსოვდეს, რომ იქ, სადაც ჩვენი აგიტაცია არ არის, წარმატებით მოქმედებს მტრის აგიტაცია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხის მტრები განსაკუთრებით შეეცდებიან უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებში თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ სწორედ ერთპიროვნულ გლეხთა ნაწილის ჩამორჩენილობის დამახასიათებელი განწყობილებანი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე, რომ სასოფლო საბჭოების საკმაო ნაწილმა უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას არ დაუკავშირა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დაჩქარება, სალიკვიდაციო სკოლების მუშაობა ბევრგან მივიწყებულია (ბორჯომის, ლანჩხუთის, ჩხარის და სხვ. რაიონებში). ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე მოახლოვდა. მთელ ჩვენს ქვეყანაში ამჟამად უკვე გაშლილია პრაქტიკული მზადება არჩევნებისათვის. უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებისა და სტალინური კონსტიტუციის შესასწავლად დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

გვახსოვდეს, რომ კლასობრივ მტერს არ სძინავს, მომავალ არჩევნებში იგი შეეცდება გაძვრეს ყოველ ჭუჭრუტანაში. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხის მტრები, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი წარმატებებით გაბოროტებულნი, ჩაიდენენ ყოველგვარ სისაძაგლეს და არ მოერიდებიან არავითარ საზიზღარ მოქმედებას ხალხის წინააღმდეგ, პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

გავაძლიეროთ შემტევი რევოლუციური სიფხიზლე, არ მივცეთ გასაქანი კონტრრევოლუციურ აგიტაციას და სათავეში ჩავუდგეთ მშრომელი მასების უდიდეს აღფრთოვანებას — ასეთია ყოველი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის უწმინდესი მოვალეობა.

ზემო-ვაკის შესახებ

პასუხი ამხ. კ. კოპალეიშვილს

გაზეთ „კომუნისტის" ა. წ. 27 ივლისის ნომერში მოთავსებული იყო თბილისის საბჭოს დეპუტატის ამხ. კ. კოპალეიშვილის ღია წერილი თბილისის საბჭოს მიმართ. წერილში აღნიშნული იყო, რომ „ზემო-ვაკეში კომუნალური მომსახურება თითქმის სრულებით არ არის, ... რომ ეს უბანი განიცდის უწყლობას და უგზოობას, რის გამო უბანს მოელის ხანძრის შემთხვევაში მთლიანი განადგურება".

რომ არ შევეხოთ ამხ. კოპალეიშვილის გადაჭარბებულ შეფასებას ზემო-ვაკის შესახებ, უნდა ითქვას, რომ შენიშვნები მის ღია წერილში, როგორც ეს ადგილობრივ გამოკვლევამ დაგვანახვა, ძირითადად სწორია. მართლაც, ზემო-ვაკეს არა აქვს შესაფერი მისასვლელი გზები, არ ჰყოფნის წყალი, სინათლე.

სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზები?

დადასტურებულია, რომ ხალხის დაუძინებელი მტრები, თბილისის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარეები — ლ. სუხიშვილი, ბ. მაჩაიძე, პ. მელაძე, ნიორაძე ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ქალაქის გარეუბნების უგეგმოდ გაშენებას, არ ზრუნავდნენ ამ უბნების მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაზე. მეორე მხრივ, დღემდე გრძელდება ზოგიერთი მოქალაქის მიერ ბინების აგება უმთავრესად გარეუბნებში (ვაკე, ნავთლუღი, ლენინის რაიონი) თბილისის საბჭოს ყოველგვარი ნებართვისა და გეგმის გარეშე. ისინი ივიწყებენ, რომ ასეთი წესით დასახლება ყოველთვის წააწყდება კომუნალური მომსახურების სიძნელეებს. რას წარმოადგენს ზემო-ვაკე? აქ მნიშვნელოვან ფართობზე გაფანტულია ინდივიდუალურად აშენებული პატარ-პატარა სახლები. მათი უმრავლესობა აგებულია არსებული წესების უხეში დარღვევით. ასეთ პირობებში გზების, წყლის, სინათლის, კანალიზაციის გაყვანა ძნელი ხდება და ამასთანავე სახელმწიფოს ეს უდიდესი თანხები უჯდება.

ჩვენ შემდგომში აღარ შეგვიძლია დაუშვათ ქალაქის ასეთი წესით განვითარება. ინდივიდუალური ან ჯგუფური წესით საბინაო სახლების აგება უნდა ხდებოდეს მხოლოდდამხოლოდ თბილისის საბჭოს ნებართვით და მისი მითითებით. ჩვენ ახლა იძულებული ვიქნებით ყველა ზომა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ აღვკვეთოთ ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში არსებული და ხალხის მტრების მიერ წაქეზებული თვითნებობა.

როგორია ჩვენი ამოცანები გარეუბნების კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების დარგში?

კერძოდ, ზემო-ვაკეს აგვისტომდე წყალი სრულებით არ ჰქონდა. წყლის აუზის მშენებლობა, რაც 1936 წელს დაიწყო, ხელოვნურად გაჭიანურებულ იქნა ხალხის მტრების ნიორაძისა და როსტომიანის მიერ. ეს აუზი თბილისის საბჭოს მიერ მიღებული ზომებით დამთავრდა. და აგვისტოს შუა-რიცხვებში ვაკის მოსახლეობამ უკვე მიიღო ნატახტარის წყალი. დარჩენილია მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი მესამე ზოლში, ე. ი. მაღლობზე, სადაც წყალი არ სწვდება. მომავალ წელს თბილისის საბჭო მიიღებს საჭირო ზომებს, რათა მოსახლეობის ამ ნაწილსაც ჰქონდეს წყალი.

რაც შეეხება გზების, სინათლის, კანალიზაციის გაყვანას, ეს საკითხები დაკავშირებულია მნიშვნელოვანი სახსრების დაბანდებასთან და გადაიჭრება თბილისის კომუნალური მეურნეობის თანმიმდევრობითი განვითარების მიხედვით.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ქ. ბუჯიაშვილი.

◇ ◇ ◇

სურათი ცარიცინის დაცვის შესახებ

ლენინგრადი, (ჩვენი კორესპ.). საიუბილეო გამოფენისათვის, რომელიც ოქტომბრის XX წლისთავზე გაიმართება, მხატვარი რ. რ. ფრენცი ამზადებს დიდ სურათს „ცარიცინის დაცვა". სურათზე აღბეჭდილია სამოქალაქო ომის გმირული ეპიზოდი — ცარიცინთან გარღვევის ლიკვიდაცია. ტილოზე აღბეჭდილია ამხანაგების სტალინის, ვოროშილოვისა და ორჯონიკიძის ჩასვლა ჯავშნიანი მატარებლით ფრონტის მოწინავე ხაზზე.

○ ○ ○

ტურისტული სახლების მშენებლობა

მომავალი 1938 წლის ტურისტული სეზონისათვის საქართველოში იწყება რამდენიმე ახალი ტურისტული სახლის მშენებლობა. ყველაზე დიდი მრავალბინიანი სახლი აშენდება თბილისში სადგურის ახალი მოედნისა და ჩელუსკინელთა ქუჩის კუთხეში.

დიდი ახალი სახლი აშენდება მწვანე კონცხზე. ორივე ამ სახლის მშენებლობის დასაწყებად საჭირო წინასწარი მზადება უკვე დაწყებულია.

მომავალ წელსვე განზრახულია ტურისტული სახლების აგება გორსა და ყაზბეგში. მომავალი ტურისტული სეზონისათვის უნდა დამთავრდეს ტურისტული სახლის აგება მწვანე კონცხზე.

○ ○ ○

ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა მიმდინარე წლის განმავლობაშივე ქალაქის სხვადასხვა უბნების კეთილმოსაწყობად ჩასატარებელ სამუშაოთა დამატებითი გეგმა.

გათვალისწინებულია მთელ რიგ ქუჩებში დამატებითი გამწვანების სამუშაოები, კანალიზაციის და წყალსადენის გაყვანა, ხიდის აგება მდ. ვერაზე, საცალფეხო გზის გაყვანა 1 სანაპირო ქუჩის მესამე უბნიდან კიროვის პარკში და სხვ.

ლადო კეცხოველის ძეგლი, რომელიც კომუნარების ბაღშია, უნდა გადაიტანონ 1 სანაპირო ქუჩაზე.

სახკინმრეწვმა თავის ტერიტორიას ჩელუსკინელთა ქუჩის გასწვრივ უნდა გაავლოს დიდი ღობე და მის გასწვრივ გააშენოს ხეივანი, იმ ადგილას, სადაც სახკინმრეწვის ფაბრიკაა. ამ ქუჩის გაფორმების გეგმა სახკინმრეწვმა წინასწარ უნდა წარუდგინოს თბილისის საბჭოს კომუნალურ განყოფილებას.

○ ○ ○

ბიბლიოგრაფია

ვაჟა-ფშაველა — „ეთნოგრაფიული წერილები".

ქართული მწერლობის დიდი კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას ნაწერების შესწავლისა და გამოცემების საქმე თანდათან მტკიცდება. ახლო ხანში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა გამოსცა ვაჟა-ფშაველას „ეთნოგრაფიული წერილების" კრებული.

ცნობილი იყო, რომ ვაჟა-ფშაველას ჰქონდა მთელი რიგი ეთნოგრაფიული ნარკვევები, მაგრამ ეს ნარკვევები და წერილები ძველ ჟურნალ-გაზეთებში იყო გაბნეული. ამჟამად მკითხველ საზოგადოებას საშუალება მიეცა ვაჟას ამ ნაწერების გაცნობისა.

როგორც ცნობილია, ვაჟამ თავისი ლიტერატურული დებიუტი კორესპონდენციებითა და ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებით დაიწყო, მაგრამ მას ნარკვევების წერა სიკვდილამდე არ მიუტოვებია. რასაკვირველია, სწერდა ეთნოგრაფიულ წერილებს იმ კუთხის შესახებ, სადაც თვითონ დაიბადა, აღიზარდა და მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა. ეს მხარეა ფშავ-ხევსურეთი.

ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები არა მარტო უბრალო წერილებია, არამედ ბევრ შემთხვევაში მხატვრული ნარკვევები. ტყუილა კი არ უწოდებს თვითონ პოეტი ერთ თავის დიდად საინტერესო ნარკვევს („ფშაველი და მისი წუთისოფელი") ეთნოგრაფიულ მოთხრობას. ეს ნარკვევი დაწერილია 1913 წ. და წარმოადგენს არა მარტო ეთნოგრაფიულ აღწერილობას, არამედ მოთხრობისებურ სურათს, სადაც შესანიშნავად დახასიათებულია და დასურათებული ფშაველის ცხოვრების ძირითადი მომენტები, ყოფა-ცხოვრება, ზნეობრივი ქცევები და სხვ.

ნარკვევების დიდი უმეტესობა დაწერილია 1886-1889 წლებში. კრებულში, რასაკვირველია, არ შესულა ვაჟას ზოგი სხვა წერილიც, მაგრამ ის, რაც შეტანილია კრებულში, საკმაო სიმძლავრით ამტკიცებს ვაჟას ოსტატობას, თავისი სამშობლო კუთხისადმი დიდ სიყვარულს და, რაც მთავარია, ხალხის წარსულისა და მისი კულტურის შესანიშნავ ცოდნას. ამ მხრივ, როგორც კრებულის წინასიტყვაობის ავტორი—გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, ვაჟას „ეთნოგრაფიული წერილები რაფიელ ერისთავის, ნ. ურბნელის, დ. ხიზანიშვილის და სხვ. შრომების გვერდით საუკეთესო მასალას წარმოადგენენ წინადროინდელი (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებული) ფშავ-ხევსურეთის შესასწავლად".

ვაჟას ეთნოგრაფიულ წერილებში ნაჩვენებია მრავალი საინტერესო მხარე ფშავ-ხევსურეთის ცხოვრებიდან, ისე ცოცხლად და საინტერესოდ, როგორც ეს ვაჟას ახასიათებდა. იგი ამ ეთნოგრაფიულ წერილებშიც თავის სიმაღლეზე დგას, მაგრამ მისი დამსახურება ამ წერილებით არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ის აღწერს და აჩვენებს ამ კუთხის ცხოვრების წესებს, არამედ იმაშიაც, რომ ზოგიერთი მხარეების კრიტიკასაც იძლევა. ის, რაც არ მოსწონს ვაჟას ფშავ-ხევსურების ცხოვრებაში, მის ადათებსა და ჩვეულებებში ის რაც ხალხისათვის მავნე და ზედმეტია, ვაჟასათვის მიუღებელია. ამ მხრივ ვაჟა ამ კუთხის ცხოვრების იდეალიზატორი კი არ არის, არამედ მისი კრიტიკულად გამჭვრეტი.

ეს არც შეიძლებოდა ასე არ ყოფილიყო, რადგან ვაჟა ასეთ კრიტიკულ ალღოს თავის მხატვრულ ქმნილებებშიაც იჩენდა, მით უფრო რომ როცა ვაჟა ამ ეთნოგრაფიულ წერილებს სწერდა, ფშავ-ხევსურეთი უკვე განიცდიდა წინააღმდეგობას, ძველი ადათების დაშლისა და ახლის შექრის ნიადაგზე. ეს წინააღმდეგობანი ვაჟას დანახული და შეფასებული აქვს კრიტიკულად.

კრებულში შეტანილია ცამეტამდე წერილი, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „ფშაველი და მისი წუთისოფელი", „ფშაველები", „ხევსურები". ამ წერილებში დახასიათებულია ფშავ-ხევსურთა ყოფა-ცხოვრების ბევრი საინტერესო მხარე, ზნეობრივი წარმოდგენები, ამინიზმი, მაგალითად საიქიოს წარმოდგენა, ხატები, წაწლობა. არაა დავიწყებული ამ ნარკვევში ფშავ-ხევსურების მიდრეკილება პოეზიისადმი და სხვ. ყოფითი მასალის მხრივ საინტერესოა წერილები— „ხევსურული ქორწილი", „ლაშარობა", „აფხუშოობა", „ხალარჯობა და რიგები" და სხვ.

ეთნოგრაფიული წერილები უსათუოდ ძვირფასი განძია ვაჟას შემოქმედებაში. ის მდიდარ მასალას იძლევა არა მარტო ვაჟას შემოქმედების ზოგიერთი მხარეების, არამედ ამ მშვენიერი კუთხის ხალხის წარსულის, კულტურისა და ზნეჩვეულებების შესასწავლად.

ვაჟას „ეთნოგრაფიული წერილების" კრებულს დართული აქვს გ. ქიქოძის მშვენიერი წინასიტყვაობა.

ა. სულავა.

დაიწყო 1915-16 წლებში დაბადებულთა გაწვევა ჯარში.

სურათზე: თბილისის რაიონის სამხედრო კომისარიატის გასაწვევ პუნქტში ახალწვეულები ეცნობიან ტყვიამფრქვევს.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

სამშობლოს დაცვის ენთუზიასტები

5 სექტემბერს თბილისში დაიწყო 1915-16 წელს დაბადებულ მოქალაქეთა წითელ არმიაში გაწვევა.

ასობით ხალისიანი ჭაბუკები ორგანიზებულად გამოცხადდნენ გასაწვევ პუნქტზე საბურთალოში მანქანებით, რომლებიც მორთული იყო ლოზუნგებით, ბელადთა პორტრეტებით და ცოცხალი ყვავილებით.

გაწვევის პირველ დღეს გამოცხადება ასპროცენტიანია.

თბილისის სამხედრო კომისარიატის შენობა, სადაც ერთდროულად ხუთი გამწვევი კომისია მუშაობს, მხატვრულად არის გაფორმებული ხელოვნების მუშაკთა კავშირის ბრიგადის მიერ.

სამხედრო კომისარიატის შიგნით სადგომებიც გაფორმებულია დიდი სიყვარულით აღსავსე მზრუნველობით მუშურ-გლეხური წითელი არმიის მამაც მებრძოლთადმი. ირგვლივ მწვანე ცოცხალ ყვავილთა თაიგულები, მხატვრულად შესრულებული პლაკატები და ლოზუნგებია. შენობაში გახსნილია რამდენიმე მშვენივრად მოწყობილი კუთხე თავდაცვა-ავიაქიმისა, სანიტარია-ჰიგიენისა, სამკითხველო და სათამაშოთა ოთახი. ახალწვეულნი უზრუნველყოფილი არიან ყოველგვარი კულტურული კეთილყოფით, მათ ეძლევათ შესაძლებლობა სხვადასხვანაირად გაერთონ იმ საათებში, სანამ გამწვევი კომისიის კაბინეტში შესვლა მოუწევთ.

○

კომისიათა მუშაობის დაწყების წინ სამხედრო კომისარიატის დიდ დარბაზში გაიმართა გაწვევისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი.

— უდიდესი სიყვარულითა და სიხარულით ვემზადებოდით ჩვენ გაწვევის დღისათვის, — ამბობს გაწვეული ამხ. ჩერპაჩენკო (ორჯონიკიძის რაიონი), — მოუთმენლად ველოდით იმ მომენტს, როდესაც ჩაგვრიცხავდნენ უძლეველი წითელი არმიის რიგებში.

— დიდი სიამაყისა და ღირსების გრძნობით მივდივართ საყვარელი წითელი არმიის რიგებში, — აცხადებს სტახანოველი ამხ. აროშიძე (კიროვის სახელობის რაიონი). — ღირსეულად დავიცავთ ჩვენი მშვენიერი სოციალისტური სამშობლოს საზღვრებს.

ნაშუადღევის 1 საათზე გამწვევი კომისიები შეუდგნენ მუშაობას.

გამწვევი კომისიის მაგიდასთან არის საქართველოს ცენტრალური საპლანერო სკოლის უფროსი ინსტრუქტორი, პარაშუტისტი ანატოლ გროზბერგი. ექიმები ერთხმად ამბობენ: ვარგისია.

ამხ. გროზბერგი ჩაირიცხა მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში. კომისიის ამ გადაწყვეტილებას ამხ. გროზბერგი დაუფარავი სიხარულით ხვდება. იგი სთხოვს კომისიას ჩარიცხონ ავიაციაში.

— მსურს დავიცვა ჩვენი დიადი სამშობლო.

სამედიცინო კომისიები აღნიშნავენ გაწვეულთა ჩინებულ ფიზიკურ მდგომარეობას. ეს გასაგებიცაა. ბედნიერ საბჭოთა ახალგაზრდობას, ჩაბმულს ყოველგვარ სპორტში, წარმოებაში დამკვრელურად მომუშავეს, შეუძლიან დაიკვეხოს ჩინებული ჯანმრთელობა.

სიხარულით უამბობს თავის ამხანაგებს, შინისაკენ მიმავალი, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერი თანამშრომელი კომკავშირელი ტილანიშვილი იმის შესახებ, რომ ის არტილერიაში ჩარიცხეს.

○

გაწვევის საათებში სამხედრო კომისარიატში მივიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი დივიზიის კომისარი ამხ. რაზდოლსკი, რომელიც გაცხოველებით ესაუბრა გაწვეულთ. მათთან საუბარში ამხ. რაზდოლსკიმ აღნიშნა საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე გაწვეულთა რიცხვის უდიდესი ზრდა.

გაწვევის პირველმა დღემ თბილისში ორგანიზებულად ჩაიარა და დაგვანახვა გაწვეულთა მაღალი შეგნებულობა, დისციპლინიანობა.

გამწვევი კომისიები მკაფიოდ მუშაობდნენ (საქდესი).

◇

პეტროგრადის დამცველთა ძეგლი

ლენინგრადი (ჩვენი კორესპ.). ოქტომბრის რევოლუციის XX წლისთავისათვის სოფელ ვოლოდარსკოეში საზეიმოდ გაიხსნება ახალი ძეგლი იმ მებრძოლთა საფლავზე, რომლებიც დაიღუპნენ, როცა პეტროგრადს იუდენიჩისაგან იცავდნენ.

ძეგლი წარმოადგენს გრანიტის მაღალ ობელისკს ბრინჯაოს ბარელიეფითა და მემორიალური დაფით. უახლოეს ხანში დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოები ძეგლის დასადგმელად.

◇

ფეხბურთი

„დინამო" ნაკრები—სახუნტი

გუშინ წინ, 6 სექტემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოს" ნაკრები და სახუნტის ფეხბურთელთა გუნდები. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო აღმოჩნდა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებმა თბილისელ მაყურებლებს რამდენჯერმე უჩვენეს თავიანთი ლამაზი და მოხდენილი თამაში, მოხერხებული კომბინაციები და ბურთის სწრაფი გადაცემა.

თამაშის პირველი ნახევრის დასაწყისში უპირატესობა სტუდენტების მხარეზეა, ისინი ლამაზად ართმევენ ბურთს მოწინააღმდეგეს. მალე დინამოელებიც გადადიან შეტევაზე. ლამაზად და მოხერხებულად მიაქვს ბურთი პანინს, იგი მარჯვენა ფრთიდან უვლის მოწინააღმდეგის ნახევარმცველებს და ბურთს კოხტად აწოდებს ცენტრში, მაგრამ დანარჩენი თავდამსხმელები თავიანთი სუსტი თამაშით შედეგს ვერ აღწევენ. თამაშის პირველი ნახევრის დამთავრებას 10 წუთი აკლდა, რომ სტუდენტებმა გაიტანეს პირველი ბურთი, სამი წუთის შემდეგ ანგარიში კიდევ გადიდდა ერთი გოლით.

თამაშის მეორე ნახევარში დინამოელები უფრო ცუდად თამაშობენ. ამით ისარგებლეს სტუდენტებმა და მეორე ტაიმში გაიტანეს 7 გოლი, საპასუხოდ კი თავიანთ ბადეში მხოლოდ ერთი ბურთი მიიღეს.

შეხვედრა დამთავრდა 9:1 სტუდენტების სასარგებლოდ.

ვ. ბ.

სასამართლო

მოსამართლემ კანონი დაარღვია

შალვა ახალბედაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ მუშაობა არ უყვარს, თუმცა არსად არ მსახურობს, მაგრამ ფული ბევრი აქვს. დღისით ძმა-ბიჭებში ქეიფობს, ღამით მშვიდობიან მცხოვრებთა დაუპატიჟებელი სტუმარია. ვინ იცის, რამდენი სახლი გაუქურდავს თბილისში და რამდენი ოჯახი აუწიოკებია, მაგრამ როგორც მისი ძმა-ბიჭები ამბობენ, შალვა ბედნიერი კაცია, რადგან ზოგიერთი მოსამართლე გულკეთილობას იჩენს და მის წინააღმდეგ ზომებს არ ღებულობს.

— გამასამართლონ, რამდენიც უნდათ. საპატიმროში მაინც არ ჩავჯდები!—ტრაბახობს შალვა და დანაშაულს დანაშაულზე უმატებს.

გასული წლის 3 ნოემბერს ლენრაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა შალვა ახალბედაშვილის საქმე და სისტემატური ქურდობისათვის ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. შალვამ სასამართლოს განაჩენის შემდეგ თავის ძმა-ბიჭებს გაუარა და ქეიფი გააჩაღა.

— ვინ იცის, ბიჭებო, ხვალ ეგებ ჩამსვან, დღეს მაინც ვიქეიფოთ! — ეუბნებოდა შალვა თავის მეგობრებს და ჭიქას ჭიქაზე სცლიდა... მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანა არავის გახსენებია. გათამამდა ახალბედაშვილი და ისევ მიჰყო ხელი ქურდობას.

რამდენიმე დღის შემდეგ შალვა ისევ დააპატიმრეს და ხულიგნობისათვის ლენრაიონის სასამართლომ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ სასჯელს სასამართლომ 3 ნოემბრის განაჩენიც დაუმატა და შალვას, ცოტა არ იყოს, ფერი ეცვალა. ახლა კი ჩავვარდიო, გაიფიქრა, და ფარხმალი დაჰყარა.

— მადლობა ღმერთს, ძლივს მოვიშორეთ ქურდი და ხულიგანი! — გადაულაპარაკეს ერთმანეთს პროცესზე დამსწრეებმა.

მაგრამ კვლავ დაუდევრობა გამოიჩინა მოსამართლემ, რომელმაც სასტიკად დაარღვია საბჭოთა მართლმსაჯულება და ქურდი შალვა ახალბედაშვილი განაჩენის გამოტანისთანავე არ დააპატიმრა. შემდეგ დადგენილების სისრულეში მოყვანა „დაავიწყდა" და ახალ პროცესამდე არც კი გახსენებია.

ტკბილად ეძინა კანდელაკის ოჯახს. შკაფებს და შიფონერებს ელექტრონის მკრთალი შუქი ანათებდა. ოთახში ჩუმად შეიპარა ვიღაც და შიფონერი გააღო. რა გინდა, სული და გული! უცნობმა ტანისამოსი ტომარაში ჩაჰყარა, შემდეგ ძვირფას ჭურჭელსაც მოუსვა ხელი, ბინოკლიც კისერზე ჩამოიკიდა, ფეხაკრეფით გამოვიდა და სიბნელეში გაუჩინარდა. დილით აწიოკდა კანდელაკის ოჯახი, მაგრამ ბოროტმოქმედის კვალს ვერ მიაგნეს. ერთ დღეს კანდელაკმა თავისი ბინოკლი ერთ ფოტოგრაფს დაუნახა.

— ეს ჩემი ბინოკლია, თქვენ საიდან ჩაგივარდათ ხელში?

— თქვენი როგორაა! ბინოკლი შალვა ახალბედაშვილისაგან ხუთ მანეთად ვიყიდე! — მიუგო ფოტოგრაფმა. დიდი დავის შემდეგ ფოტოგრაფს ბინოკლი ჩამოართვეს, ხოლო მილიციამ დააპატიმრა შალვა ახალბედაშვილი, რომელიც გამოტყდა დანაშაულში.

მიმდინარე წლის 17 აგვისტოს ეს საქმე ლენრაიონის სახალხო სასამართლომ გაარჩია. მოსამართლე რეხვიაშვილმა ბრალდებულს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ შემდეგ ერთბაშად გაახსენდა, რომ ახალბედაშვილის შესახებ კიდევ სხვა დადგენილებებიც არსებობდა. ამიტომ 17 აგვისტოს განაჩენს გასული წლის 14 ნოემბრის განაჩენიც დაუმატა, მაგრამ დადგენილება დასწერა გაუგებრად, მასში არ აღნიშნა, თუ ბრალდებულს რამდენი წლით უნდა აღკვეთოდა თავისუფლება. მოსამართლე რეხვიაშვილის დაუდევრობით გათამამებულმა ბოროტმოქმედმა საქმე უზენაესი სასამართლოს საკასაციო საკრებულოში გადაიტანა და მოითხოვა უკანონო დადგენილების გაუქმება. რადგან განაჩენი ბუნდოვნად იყო შედგენილი, საკასაციო საკრებულომ გააუქმა იგი და საქმე ხელახლა განსახილველად გადასცა ლენრაიონის სასამართლოს.

აი რა გამოიწვია მოსამართლე რეხვიაშვილის დაუდევრობამ და საბჭოთა მართლმსაჯულების დარღვევამ. ამის შესახებ სიტყვა საქ. უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს ეკუთვნის.

კლ. გიაძე

◇ ◇ ◇

ახალი პარკი

მომავალ გაზაფხულზე გადაწყვეტილია ახალი პარკის გაშენება საბჭოთა კავშირის გმირების მოედანთან. პარკი გაშენდება იმ ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ახლად გაყვანილ სანაპირო ქუჩის გაგრძელებასა, მოედანსა და მდ. ვერაზე გაკეთებულ ახალ ხიდს შუა.

პარკის გაშენების დაწყებამდე გადაწყვეტილია აგებულ იქნას ახალი სახლები იმ მობინადრეთათვის, რომლებიც ამჟამად საპარკე ტერიტორიაზე მდებარე სახლებში ცხოვრობენ.

პარკის გაშენება დავალებული აქვს თბილისის საბჭოს გამწვანების ტრესტს.

◇

ტურისტული სეზონი საქართველოში

აგვისტოში მოსულმა ნიაღვრებმა და ქარიშხალმა გამოიწვია ტურისტთა სამარშრუტო გზებზე მოძრაობის შეწყვეტა. ორ მთავარ სამარშრუტო გზაზე — საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე და ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე ტურისტების მოძრაობა შეწყვეტილია აგვისტოს შუა რიცხვებიდან.

ყველა ის ტურისტები, რომლებიც ამ მარშრუტებით უნდა ჩამოსულიყვნენ საქართველოში, ახლა ჩამოდიან რკინიგზით. ტურისტული სახლები ფასანაურსა, ყაზბეგსა, შოვსა და ქუთაისში დროებით დახურულია. ნიაღვრებით დაზიანებულ გზებს სასწრაფო წესით აკეთებენ.

ტურისტთა მასები მიაწყდნენ შავი ზღვის სანაპიროს მარშრუტს, სადაც ყველა ტურისტული სახლი (ბათუმსა და მწვანე კონცხზე) ძალზე გადატვირთულია.

ი. დ. დევდარიანი მოხსნილია თანამდებობიდან

საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის ბრძანებით, რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე იოსებ დავითის-ძე დევდარიანი მოხსნილია თანამდებობიდან მთხოვნელებისადმი არათავაზიანი მოპყრობისა, აბუჩად აგდებისა და გაქირდვისათვის, რითაც იგი სახელს უტეხდა პროკურატურის ორგანოებს მშრომელთა შორის.

◇

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

8 სექტემბერს.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: უცხოეთის სახელმწიფოთა და მათი აგენტების ტროცკისტ-ბუხარინელ - ფაშისტ მზვერავების დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობის მეთოდები.

ქართულ და რუსულ ენებზე, დასაწყისი საღ. 8 საათზე.

8 სექტემბერს, საღ. 8 საათზე, საქ. კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. სულუხიას მოხსენება თემაზე: როგორ არის უზრუნველყოფილი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრის დროს.

შესვლა საშვები ბარათებით.

○

საქ. კ.პ.(ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი იუწყება, რომ 8 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. სულეიმანის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ" (რუსულ ენაზე).

სარედაქციო კოლეგია

ბ ა ლ ა ნ ს ი

საქართვ. ადგილობრივ მრეწველობის კომისარიატის ამხ. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნისა 1937 წ. 1-ლი იანვრისათვის.

ა ქ ტ ი ვ ი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯ ა მ ი (ათას მანეთებში)
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობის	1.132
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობის	285
3	მარაგი მასალების, ნედლეულის და სათბობისა	513
4	ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებ. წარმოება	416
5	საქონელი და მზანაწარმი	449
6	გასასყიდად გამოყოფილი საგნები . . .	7
7	ფულადი საშუალებანი	257
8	ანგარიშსწორებანი	234
9	მომავალი პერიოდის ხარჯები	48
10	განყენებული საშუალებანი	48
	ბ ა ლ ა ნ ს ი . . .	3.389

პ ა ს ი ვ ი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯ ა მ ი (ათას მანეთებში)
1	საწესდებო ფონდები	2.123
2	სპეცფონდები	51
3	რეზერვები	79
4	ანგარიშსწორებანი	590
5	საანგარიშო წლის დაგროვებანი . . .	546
	ბ ა ლ ა ნ ს ი . . .	3.389

1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

№	დანაკარგები		№	დაგროვებანი	
1.	სხვადასხვა დანაკარგები	69	1	დაგროვებანი საქონლისა და მზანაწარმის რეალიზაციიდან	516
			2	სხვა დაგროვებანი	99
	დაგროვების სალდო .	546		დანაკარგების სალდო .	—
	ბ ა ლ ა ნ ს ი . . .	615		ბ ა ლ ა ნ ს ი . . .	615

დირექტორი **სარქისოვი.** მთ. ბუხჰალტერი **გაბუნია.**

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1660 საქ. ადგ. მრეწვ. სახკომ. საბუხჰალტერო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე.**

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალი

აცხადებს ასპირანტების მიღებას შემდეგ დარგებზე:

1) საქართველოს ისტორია და არქეოლოგია, 2) ქართველური, კავკასიური და აღმოსავლეთის ძველი ენები, 3) მათემატიკა, 4) გეოფიზიკა, 5) ასტროფიზიკა, 6) ზოოლოგია, 7) ქიმია.

მისაღებად დაიშვებიან უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულნი, რომელთა წლოვანება არ აღემატება 35 წელს.

ასპირანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელიწადია. ასპირანტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და ორი თვის შვებულებით.

გამოცდები იწარმოებს 1937 წ. 25 სექტემბრიდან შემდეგ საგნებში: 1) სპეციალური საგანი, 2) რუსული ენა, 3) დიალექტიკური მატერიალიზმი.

განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე. საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი დოკუმენტები: 1) დაწვრილებითი ავტობიოგრაფია, პარტიული ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ შემოწმებული, 2) ფოტოგრაფიული სურათი, 3) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების საბუთი, 4) მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ, 5) დახასიათება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, 6) დაბეჭდილი შრომების სია (თუ კი ასეთი აქვს).

დოკუმენტები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: მახარაძის ქუჩა № 14, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს.

1669 **სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქფილიალის პრეზიდიუმი.**

თბილისის სახ. კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა განსაკუთრებულ ჯგუფში

განცხადებების შემოტანა იწარმოებს ა. წ. 15 სექტემბრამდე, ხოლო გამოცდები ჩატარდება სექტემბრის 20—21 რიცხვებში.

განცხადებები და სათანადო საბუთები შემოსვლის მსურველებმა უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე. ჯგუფში მიიღებიან ბავშვები 7-დან 14 წლამდე.

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა, № 8.

371 **დირექცია.**

მძ. მრეწვ. სახ. კომ. საქმარაგგასაღება,

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1937 წ. 31 აგვ. № 26 განკარგულების თანახმად, აუწყებს საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე მყოფ, საქართველოს სსრ სახ. კომისარიატებსა და უწყებებში შემავალ ყველა ორგანიზაციასა და საწარმოს, რომ აუცილებელია

წარმოადგინონ თავისი დასაბუთებული განაცხადები 1938 წლისათვის

ქვა-კერამიკის მოჭიქული 150 და 200 მმ დიამეტრის საკანალიზაციო მილების საჭირო რაოდენობაზე.

განაცხადებში ნაჩვენები უნდა იყოს რაოდენობა ტონობით, კვარტალებზე განაწილებით.

განაცხადების წარმოდგენის ვადა—1937 წლის 11 სექტემბრამდე.

განაცხადები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქალ. თბილისი, ჩელუსკინელთა ქუჩა, სახლი № 14, საქმარაგგასაღების საამშენებლო-სილიკატურ ქიმ. კანტორას. ტელეფონი № 3-27-42.

ის ორგანიზაციები, რომლებიც თავის განაცხადებს ვადაზე არ წარმოადგენენ, შეტანილი არ იქნებიან მომავალი წლისათვის მილებით მომარაგების გეგმაში.

1193

გაიხსნა

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი კ უ რ ს ე ბ ი.

მსმენელებად მიიღებიან საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი.

პირობების გაგება შეიძლება საღ. 6 საათიდან, ორჯონიკიძის ქ. № 49, მე-26 სკოლის შენობაში, მეორე სართული, რკინიგზის თუშფაკის პირდაპირ. 17354

ა. დ. ქლენვი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.

მისამართი: წყნეთის ქ. № 8. 17278

ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებამ გახსნა სრული და არასრული საშუალო სკოლის კურსის დასამთავრებელი

საექსტერნო კურსები

სამეურნეო ანგარიშზე, ქართულ-რუსული სექტორით.

განცხადებების მიღება: ჭავჭავაძის ქ., № 10, მე-13 სკოლის შენობა, საღ. 6—8 ს.

17351 **ორჯონიკიძის რაიონის განათლ განყოფილება.**

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული—82558